კვირა 1919 წ. მარტის 23 № 65
წელიწადი მეხუთე

კვირა 1919 წ. მარტის 23 № 65
ფასი თბილისში კროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

ხაგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

სოლომონ გიორგის ძე მიქელაძე და იულია დავითის ასული მიქელაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი დაუვიწყარის ძმისწულის

**კაპიტან გიორგი დავითის ძე მიქელაძის**

ტრაღიკულად დაღუპვას. პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 23 მარტს, საღამოს 6 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში. ამავე დღეს დანიშნულია დაკრძალვა სოფ. პატარა ჯიხაიშში.

1—2238—1

ღრმად დამწუხრებულნი და გულ-დათუთქულნი პელაგია ზაქარიას ასული ცაბაძისა, შვილები: ოლა, ტასია და სვიმონი აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთა და მეგობართ რომ პარასკევს, 21 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ქვირფასი მაზლი და დანარჩენების მოამაგე ბიძა

**ნიკოლოზ გიორგის ძე**

**ც ა ბ ა ძ ე**

პანაშვიდები ვოველ დღე საღამოს 6 საათზე, საკუთარ ბინაზე, ყაზბეგის შესახვევი № 1. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

(1—2240—1)

შვილები: მიხეილ და თამარი უგულითადეს მადლობას უძღვნიან მათ, ვინც დასაფლავებაზე პირადი დასწრებით, დეპეშით ან წერილით ანუგეშა ისინი მათი დაუვიწყარი მამის, დეკანოზის

**იასონ სოლომონის ძის ოქროპირიძის**

უდროვოდ გარდაცვალების გამო.

(1—2249—1)

დედ-მამა და ძმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ რომ ახალციხეში მოკლული მეექვსე პოლკის აფიცერი პორუჩიკი

**პეტრე კეზელი**

დაიკრძალება 24 მარტს სოფ. ახალქალაქში.

(1—2241 1)

**სახელმწიფო თეატრი**

**საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა**

დღეს, 23 მარტს, წარმოდგენილი იქნება

| დილით | საღამოთი |
| --- | --- |
| **სნეგუროჩკა** | **მინიონი** |

**რესტორანი პარიზი რესტორანი**

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

**სრულიად ახლა გადაკეთებული**

**ცალკე მოწყობილ დარბაზებით**

**გაიხსნა 14 მარტიდან**

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: **საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.**

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

**საგანგებო ყავა-ხანა**

**✦✦✦ ფასები ზომიერია ✦✦✦**

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფ ს-და ლე ით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

ხასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25–32–6 პატივისცემით: ხ. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

## სახიფათო გზა

„უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო“, ამბობს ბრძნული ქართული ანდაზა. ყოველ დღე და ყოველ მხრიდან მოდის და ისმის ისეთი ამბები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს პატრონი და მზრუნველი არა ჰყავს, მხოლოდ ასეთი უპატრონობით და ჩვენი მთავრობის საარაკო გულგრილობით აიხსნება ის ამბები, რომელიც ხდება ეგრედ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“.

ეს ქვეყანა ნამდვილად მოსწყდა საქართველოს და არ ემორჩილება მის მთავრობას და კანონებს, მთელი ძალაუფლება ამ კუთხეში ხელთ უპყრია ოსების ეროვნულ საბჭოს, რომელიც ისე იქცევა, როგორც თავის საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოში. ამავე დროს მას არა აქვს ნამდვილი ძალა, ამიტომ ჯავის ხეობაში, სადაც ჩვენი ადმინისტრაცია არ შედის, მოცულია სრული ანარქიით. ძარცვა გლეჯას, ხალხის ხოცვას და ყაჩაღობას ბოლო არ უჩანს. ეს ყაჩაღები და ავაზაკები ნამდვილი ბატონ-პატრონები არიან ჯავის ხეობისა.

ანარქიას თქვენი ჭირი წაუღია. იგი ყველგან არის და ადრე თუ გვიან იქაც გათავდება, მაგრამ ამ კუთხეში აგერ ერთი წელიწადია ერთი ისეთი ამბავი ხდება, რომელსაც უაღრესად დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. ლიახვის ხეობიდან როკის მთის გადასავალზე ოსთა ეროვნულ საბჭოს დიდი საურმე გზა გაჰყავს ჩრდილო კავკასიაში, ე. ი. რუსეთში.

ყველას მოეხსენება მნიშვნელობა ასეთი გზისა. აქამდის საქართველოს რუსეთთან აერთებდა ოთხი გზა: შავი ზღვის პირისა, გლუხორისა (აფხაზეთში), მამისონისა და საქარ. სამხედრო გზა ამ ჟამად გლუხორის გადასავალი გზა მიგდებულია და გამოუსადეგარი, ხოლო დანარჩენი სამი გზა ჯარით გვაქვს დაკეტილი. ამ გზების დაკეტვა საქართველოს ღარიბ ხაზინას მრავალი მილიონი უჯდება. ამ გზებს არავითარი ეკონომიური მნიშვნელობა არა აქვთ, რადგან მოხალისენი არაფერს გვაძლევენ, ამიტომ ამ ჟამად მაინც სამივე გზა ჩვენთვის საბედისწერო და მეტად სახიფათონი არიან. რომ შეიძლებოდეს მათი ჩაქოლვა და ჩაშლა დროებით მაინც, უნდა ყველა გზები დაუყოვნებლივ ჩაიშალოს და ჩაიკეტოს.

აი ასეთ დროს შარშანდელს აქეთ ჯავის ხეობაში ყოველ დღე 500 ოსი მუშაობს ახალი გზის გაყვანაზე. ოსები ახალ კარებს უხსნიან რუსებს საქართველოსკენ და მის გასაღებს ჯიბეში იდებენ. ეს გზა შუა ქართლში ჩამოვა და საქართველოს შუაზე გადასჭრის.

ჩვენმა მთავრობამ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იცის საბედისწერო მნიშვნელობა ამ გზისა, მაგრამ იგი ხმას არ იღებს.

სხვაგან საზღვრებზე გზების მიყვანას უდიდესი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობას აძლევენ. რუსეთი ომით დაემუქრა ოსმალეთს, რომელსაც უნდოდა რკინის გზის მოყვანა აზრუმისკენ. როცა ორი მოსაზღვრე სახელმწიფო თავიანთ გზებს აერთებს საზღვარზე, იგი ნიშნავს მათს დაახლოვებას, მეგობრობას და ხშირად კავშირსაც.

როგორი მეგობრობა გვაქვს ჩვენ დენიკინის ჯართან—ყველამ უწყის.

სანამ დაგვიანებული არ არის, მთავრობამ ფიცხელი და მტკიცე ნაბიჯი უნდა გადასდგას და ეხლავე შეაჩეროს როკის სახიფათო გზის გაკეთება.

## „აზერბეიჯანი“ და ახალციხის მეამბოხენი

აზერბეიჯანის მმართველ წრეებისა და პოლიტიკურ ხელმძღვანელების გამოხმაურებას ახალციხის აჯანყების გამო სხვა სახელი არ დაერქმის, თუ არა ყოვლად მიუღებელი ჩარევა საქართველოს შინაურ საქმეებში. ეს თავის დროზე აღინიშნა ყველა მიმართულების გაზეთებში და რჩევაც გამოითქვა, რომ აზერბეიჯანის პოლიტიკის მეთაურებს ზომები მიეღოთ საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციის მოსასპობად.

ამისდა მიუხედავად, აზერბეიჯანში მთელი განგაშია ამტყდარი საქართველოს ჯარის „ძალმომრეობაზე“ და გაზეთები მოითხოვენ აზერბეიჯანის მონათესავე „ერთსისხლ და ერთმორწმუნე ერის“ გაჟლეტის შეჩერებას“.

დიდ უკმაყოფილებას საქართველოს მთავრობის მოქმედების გამო გამოსთქვამს ბაქოს ოფიციალური გამოცემა „აზერბეიჯანი“. სახელმძღვანელო წერილების გარდა, ამ გაზეთში შეუმოწმებელი და ჩვენი რესპუბლიკის დამამცირებელი ცნობები იბეჭდება. 59 ნომერში ვინმე „ი. ხ.“ ათავსებს ვრცელ წერილს ახალციხის ოპერაციებზე და საქართველოს ჯარის „მხეცურ მოქმედებას“, ასაბუთებს ახალციხის მაზრიდან ჩასულ უცნობის ჭორებზე. წინა ნომერში ოფიციალური გაზეთი იფიცება საქართველოსადმი ერთგულებასა და კეთილგანწყობილებაში და ამავე გრძნობით გაზეთი ცდილობს ახსნას აზერბეიჯანის მთავრობის „მეგობრული“ ნოტა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი.

ჩვენის აზრით, კეთილმეგობრულ განწყობილებას სხვა დამაჯერებელი საბუთი უნდა მოჰყოლოდა და უწინარეს ყოვლისა უნდა გამოსახულიყო იმაში, რომ ოფიციალურ გაზეთის ხელმძღვანელებს საზიზღარ ჭორებზე არ აღეგოთ მოწინავე წერილები.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: „აზერბეიჯანი“ საქართველოს მომქმედ ჯარს მშიშარსა და ავაზაკურს უწოდებს, ხოლო აჯანყებულ ბრბოებს ხოტბას ასხამს. ამავე გაზეთის დახასიათებით, საქართველოს წინააღმდეგ აჯანყებულნი მამულიშვილურ საქმეს უძღვებიან, საქართველოს ერთგული ახალციხელი მოქალაქენი-კი „მოღალატენი“ ყოფილან?!

აზერბეიჯანის მთავრობის ორგანო დარწმუნებული ყოფილა, რომ საქართველოსა და აზერბეიჯანის შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულება დამყარდება მაშინაც კი, როცა პასუხისმგებელი დაწესებულებანი ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობის დამცველსა და მოამაგე ჯარს სახელუწოდებს „მხდალ ბრბოდ და ბარბაროსად“. არა გვგონია, ამგვარი უდიერი კვალიფიკაცია ჩვენი რეგულიარული ჯარისა დაგვეხმაროს მეგობრობის განმტკიცებაში!..

ჩვენ არ ვიტყვით დარწმუნებით, რომ მესხეთის ამბოხების ჩაქრობა უმტკივნეულოდ ჩატარებულიყო და ჯარის-კაცების მიერ შეუფერებელ მოქმედებას ადგილი არა ჰქონოდეს! სამხედრო ოპერაციების წარმოებას ექსცესები მუდამ თან სდევს, თვითოეული ჯარის კაცი ხშირად უმსგავსობასა და ყაჩაღობასაც არ ერიდება, მაგრამ მთელი მომქმედი ჯარის ყოფაქცევაში მხოლოდ ავაზაკურ საქციელის დანახვა მტრულ განწყობილ ადამიანებს შეჰფერის.

„აზერბეიჯანის“ წერილებსა და „ცნობებს“ დიდი ზიანის მოტანა შეუძლიან საქართველოსთვის: ამ გაზეთის „ინფორმატორებს“ სხვა მიზანიც დაუსახავთ: მათ უწყიან, რომ საქართველოს სამფლობელოში დიდი პროცენტი სცხოვრობს მაჰმადიანობისა და ასეთი ცნობების მიწვდით ამ ელემენტის ამოძრავების შესაძლებლობას ჰხედავენ.

„აზერბეიჯანი“ სწერს, სხვათა შორის, რომ „საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას რაღაც იდუმალი გეგმა აქვს შემუშავებული მაჰმადიანების წინააღმდეგ“. აშკარაა, ამ გაზეთის მკითხველი იმ დასკვნას დაადგება, რომ საქართველოში განუზრახავთ მაჰმადიანების ამოჟლეტა...

იქნებ ეს გარემოებაც ამკვიდრებდეს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის კეთილ განწყობილებას!?..

ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს კეთილგონიერება სიფრთხილისაკენ მოუწოდებს აზერბეიჯანის პოლიტიკოსებს და არ მისცემს მათ ნებას აზერბეიჯანის მიწა-წყალზე საქართველოს დამამცირებელ და აშკარა საზარალო აგიტაციის მოხდენისას.

საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობა, განურჩევლად სარწმუნოებისა, ჩვენი მართებლობის ზრუნვას შეადგენს და, სათიქრებელია, აჯანყებულთა და რესპუბლიკის მოღალატეთა დასჯაც მისივე კომპეტენციის საგანია! ეს უნდა შეთვისებული ჰქონდეს ყველას, ვისაც სახელმწიფო უფლებისა და საერთაშორისო ნორმების ელემენტარული ცნობები მოუსმენია მაინც...

**რ. ინგილო.**

## პრესსა

### ქურდობის ფსიხოზი.

ჩვენ გუშინწინ ვწერდით, რომ ფედერალისტებმა გადაწყვიტეს ოპოზიციის წარმოება და უნდათ თავიდანვე გამოიწვიონ ტერორი. მათ ძალიან ბევრი იციან შინაური საქმეებისა, როცა მენშევიკებთან ერთ ჟულელს ეწეოდენ და ტრაპიზონში მიდიოდენ ექსპედიციებით ყველაფრიდან სჩანს, რომ ფედერალისტები ხსნიან სენსაციების ფარდასა და ბევრი იქნება საინტერესო ამბები აღმოჩენილი. გუშინდელ „სახალხო საქმე“-ში დაბეჭდილია წერილი „ლეგალური ქურდობა“, რომელშიც დახასიათებულია საინტენდანტოს წესრიგი და საზოგადოთ ჯარის ორგანიზაციის. მოგვყავს ამ წერილიდან ადგილები:

ის რაც ხდება ჯარის ნაწილებში ყოველივეს აღემატება; გული გიკვდებათ, როდესაც ხედავთ, რომ საინტენდანტოდან რომელიმე ჯარის ნაწილში ნივთებს თუ სანოვაგეს ეზიდებიან, რადგან იცი რომ მისი მესამედიც არ მოხმარდება დანიშნულებისამებრ. დაწყებული პოლკის უბრალო ჯარისკაციდან და გათავებული პოლკის თუ ბრიგადის კომანდირებით (განსაკუთრებით ჩინტემლაკებიანები) ეზიდებიან საზოგადო ქონებას და ყოველი მათგანი ცალკცალკე თავისთვის სახლში ცეიჰგაუზებს თუ საწყობებს ხსნიან. ყველაზე უფრო შაქარი უყვართ ამ ვაჟბატონებს და არ იფიქროთ, რომ ფუთობით ზომავდნენ წასაღებ ლუკმას, ტომრობით მიასვენებენ სახლში. შეიძლება იკითხოთ, როგორ ახერხებენ და გამოაქვთ ამოდენა სანოვაგე საინტენდანტოდან? მათთვის ეს სულ ადვილი მოსახერხებელია: თუ რომელიმე ერთეულში სინამდვილეში ორმოც-სამოცი კაცია, იმ დოკუმენტში კი რომლითაც სანოვაგე თუ სხვა რამე გამოაქვთ ოთხას ხუთას კაცს სწერენ და თავს ასე იმართლებენ: ჩემს ერთეულში შტატით ამდენი ჯარის-კაცი უნდა იყოსო.

თუ ასე ექცევიან ისეთ რამეებს, რომელნიც ასე თუ ისე საჩოთირო წასაღებია, როგორღა მოექცევიან იმ ფულებს, რომელსაც მათ მთავრობა აძლევს ამა თუ იმ საჭიროებისათვის. ამასაც ისევე ექცევიან ისინი, ვის ხელშიაც არის ეს უკანასკნელი; ყოველ შემთხვევისათვის „სჩოტებს“ კი ინახავენ, რომლების სიყალბეში არავის ეჭვი არ შეეპარება, ვინც ახლოს სდგას ამ ვაჟბატონებთან. განსაკუთრებით ასეთი ყალბი ანგარიშების შედგენა უადვილდებათ, რომელიმე საომარ ოპერაციის დროს, სადაც, როგორც ჯარს, აგრეთვე ცხენებს ნადავლით ჰკვებენ ხოლმე.

შემდეგ მოყოლია ამბები, როგორ აძლევენ ჯარისკაცებს ჯამაგირებს, როგორ რჩებიან ყოველ ჯამაგირში ნაწილს, და თან აწერილია ყველა ხერხები, რომელსაც მიმართავენ ხოლმე ამ შემთხვევაში. ფულის დამრიგებელნი. ეს სურათი მართლაც იძლევა კოშმარის წარმოდგენას და შიშს ბადებს რესპუბლიკის მომავალში.

„ერთობა“ გაკვრით შეეხო ქურდობის ფსიხოზს, ფედერალისტები უფრო კონკრეტიულათ ასახელებენ დეტალებს.

არ არის ეჭვი, რომ ორივე მხარე მართლა რომ „ჰერკულესის ბჭეებამდი“ მივლენ...

## დამფუძნებელი კრება

**მე-4 სხდომა. 21 მარტი.**

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

**ახალციხის საქმეთა კომისიის კომპეტენცია.**

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ახალციხის მაზრაში მომხდარ ამბების გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარის დამფუძნებელი კრების წევრის გიზო ანჯაფარიძისაგან მიღებულია დეპეშა, რომელშიაც ხსენებული კომისია ითხოვს, რათა დამფუძნებელმა კრებამ გამოარკვიოს საკითხი, აქვს თუ არა მას უფლება თანამდებობის პირთა გადაყენებისა.

**ი. ბარათაშვილი** (ს.-ფ.) წინააღმდეგია ესეთი უფლება კომისიას, რადგან ეს იქნებოდა არევა აღმასრულებელ და კანონმდებელ ორგანოთა უფლებებისა.

**გიორგი გვაზავა** (ე.-დ.)

ჩვენ ძალიან გატაცებულნი ვართ დამფუძნებელი კრების სხვა და სხვა ისტორიული მაგალითებით და განსაკუთრებით, ჩვენი დამფუძნებელი კრების შედარებით საფრანგეთის კონვენტთან.

მართალია იგი ერეოდა სახელმწიფოებრივ ცხოვრების ყოველ დარგში, მან მიითვისა აღმასრულებელი ძალისა და სამართალის ფუნქციებიც, მაგრამ ის საერთაშორისო პირობები, რომელშიაც იგი იმყოფებოდა და რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, სრულებით სხვა და სხვა გვარია და ანალოგიას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

კონვენტის დროს, საფრანგეთი გარშემორტყმული იყო რეაქციონერებით.

**ხმები მარცხნით:** აქ?

**გ. გვაზავა:** აქ, რევოლუცია არის ირგვლივ და ჩვენც რევოლიუციურ ხანაში არ ვიმყოფებით? იქ კიდევ ბევრი იყო ნაშთა აბსოლუტიზმისა და საადმინისტრაციო ძალა მეფის მიერ დაყენებულ პირთა ხელში იყო.

ჩვენი სამინისტრო კი, თქვენის ნდობით არის აღჭურვილი; ადმინსტრაცია მის მიერ არის დაყენებული და მას ემსახურება.

ესეთს მდგომარეობაში, საფრანგეთკონვენტის მაგალითები არ შეიძლება.

კომისიისათვის მინიჭება იმ უფლებისა, რომელსაც იგი თხოულობს, არევ დარევა იქნებოდა სახელმწიფოებრივი ფუნქციების.

მართალია მას დავავალეთ „მიღება ყველა ზომებისა“, მაგრამ იგი გავგზავნეთ ახალციხეში მისთვის, რომ გაერკვია სრული მდგომარეობა და მოეხსენებია ჩვენთვის.

მაგრამ არ შეიძლება მინიჭება მათდამი აღმასრულებელი ძალისა მისთვის, რომ მათ დასჭირდათ ამა თუ იმ პირის სამსახურიდგან გადაყენება; წარმოიდგინეთ, რომ მათ დასჭირდათ საკანონმდებლო ფუნქციების შესრულებაც, როგორ მოიქცევით მაშინ? მიანიჭებთ ამასაც?

ამისთვის, ჩვენის აზრით, არავითარი საჭიროებასა არ მოითხოვს, რომ დაკმაყოფილებულ იქნას კომისიის მოთხოვნილება; ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია ამ წინადადების.

**ი. გობეჩია.** ს.-რ.) წინააღმდეგია კომისიის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

**კირილე ნინიძე.** (ს.-დ.) საჭიროთ სთვლის, ახალციხის საქმეთა კომისიის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნეს და იგი აღიჭურვოს სრულის უფლებით.

# უკანასკნელი ცნობები

ახალციხის მაზრის მიწის მუშ. თა დეპ. საბჭომ პროტესტი განაცხადა აზერბაიჯანის მთავრობის მფარველობის წინაამდეგ.

ბერლინში სპარტაკელებზე საჰაერო თავდასხმა მოახდინეს.

ბრძოლა მთავრობის ჯარსა და სპარტაკელების შორის ბერლინში გრძელდება.

გერმანიის ჯარმა ბოლშევიკებს კურლიანდიაში სოხუნდენი და სკაიზენი წაართვა.

ბუდაპეშტიდან კომუნისტები მთავრობის ჯარმა განდევნა.

უკრაინელები ლოძს უშენენ.

ბოლშევიკები წინ მიიწევენ ბესარაბიისაკენ.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციამ 1 აპრილს კანნაში მოიწვია მთელი ქვეყნის სპეციალისტები ხალხთა ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველად ზომების შესამუშავებლად.

კენჭის ყრა

კენჭის ყრით, ეროვნ.-დემ., სოც.-ფედერალ. და სოც.-რევ. ხმათა წინააღმდე, ახალციხის კომისიის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა.

**ე. გეგეჭკორი— მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე.**

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე აცხადებს, რომ მთავრობის თავმჯდომარემ ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ თავის თანამდებობის დროებითი ასრულება მიანდო საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს.

სიტყვას იღებს ბ-ნი ე. გეგეჭკორი:

**ნოე ჟორდანიას მთავრობის შემადგენლობა.**

მთავრობის თავმჯდომარის დავალებით, მაქვს პატივი ვაუწყო დამფუძნებელ კრებას, რომ მან შეადგინა მთავრობა შემდეგი შემადგენლობის:

მთავრობის თავმჯდომარე — ნოე ჟორდანია, გარეშე საქმეთა და იუსტიციის მინისტრი—ე. გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლების მინისტრი ნოე რამიშვილი, მიწადმოქმედების, შრომის და გზათა მინისტრი—ნოე ხომერიკი, ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსების მინისტრი—კონსტ. პლატ. კანდელაკი.

## მთავრობის დეკლარაცია.

მთავრობა აკეთებს შემდეგს მოხსენებას:

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! ასრულდა საქართველოს ერის სურვილი. შესდგა სუვერენული ორგანო, დამფუძნებელი კრება, რომელიც მოწოდებულია შეიმუშაოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და მტკიცე ნიადაგზე დაამკვიდროს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო. მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ორგანო დამფუძნებელი კრებისა და პასუხისმგებელი მის წინაშე, მიზნათ ისახავს დემოკრატიის ინტერესთა დაცვას. რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცება და გაფართოვება დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში აი ის მთავარი მიზანი, რასაც ემსახურება ახლად შემდგარი მთავრობა. ყველასათვის ცხადია, რომ დემოკრატიული საქართველო არასოდეს არ შეურიგდება პოლიტიკურ მონობას და ქედს არ მოიხრის მოწინააღმდეგეთა წინაშე, რომელნიც მის არსებობას ემუქრებიან.

მართალია, ჩვენ ნორჩ რესპუბლიკას წინ კიდევ მრავალი დაბრკოლება ელობება. მსოფლიო სამშვიდობო კონგრესს თავისი უკანასკნელი სიტყვა ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ არ წარმოუთქვამს, მაგრამ ჩვენ სრული იმედით შევყურებთ მომავალს. ხალხი, რომელმაც სძლია რეაქცია და ანარქია, მოიგერია უცხო ძალთა თავდასხმა, ექვს გარეშე, შეინარჩუნებს და უზრუნველჰყოფს თავისუფალ პოლიტიკურ არსებობას. დიდმა ბრიტანეთმა, რომელმაც ჩვენში ფეხი შემოსდგა და რომელთანაც ჩვენ ვესწრაფვით ურთიერთ ინტერესების უზრუნველყოფით დაახლოვებას, უკვე აღგვითქვა ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება. საქართველოს მთავრობა მოწადინებულია მოკავშირეთა დანარჩენ სახელმწიფოებთანაც შეთანხმების მიღწევას და მათი დახმარებით საერთაშორისო ოჯახში სრულუფლებიან წევრათ ჩარიცხვას.

ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მეზობელი სახელმწიფონი—სომხეთი, ადერბეიჯანი და მთიელთა რესპუბლიკა, რომელთანაც ჩვენ ველტვით განვამტკიცოთ კეთილმეზობლური ურთიერთობა, საბოლოოდ დაადგნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივობის გზას, ხოლო ეს საუკეთესო თავდებია მათთან მჭიდრო კავშირის დამყარებისა და საერთო ძალღონით ჩვენი პოლიტიკური თავისუფლების დაცვისა.

საქართველოს საგარეო, აგრეთვე საშინაო მდგომარეობას მეტის-მეტად ართულებს მსოფლიო ომით გამოწვეული ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ჩვენს თვალ-წინ ახალ-ახალ ქვეყნებს მოედვა და რომელიც თანდათან ვითარდება და ღრმავდება. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დემოკრატიის შემოქმედება და უნარი სძლევს ამ დაბრკოლებათ და ევროპაში მოსალოდნელ ცვლილებას ჩვენში მშრომელთა ბატონობის განსამტკიცებლად გამოიყენებს.

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! მთავრობა თავის მოვალეობათ რაცხს აშკარად განაცხადოს, რომ საქართველოს განაპირა კუთხეებში ბნელი რეაქციონური ელემენტები სცდილობენ რესპუბლიკის დამხობას და ამ მიზნით გარეშე ძალებს იშველიებენ. აბხაზეთსა და სამუსულმანო საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს. ჩვენი მიზანია ამ კუთხეებში თავისებური განვითარების უზრუნველყოფა, ადგილობრივი ძალებით შინაური მართვა-გამგეობის მოწყობა და დედა-სამშობლოსთან შეგნებულად დაკავშირება. აბხაზეთის სახალხო საბჭოს მოწვევით, რომელიც არჩეულია საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციონალური სისტემით ორივე სქესის მიერ უკვე ჩაეყარა საფუძველი აბხაზეთის საქმეთა ამ ნიადაგზე მოწესრიგებას.

საქართველოს მთავრობა მწვავეთ გრძნობს სამუსულმანო საქართველოს დიდი ნაწილის დროებით ჩამოშორებას და სცდილობს ისტორიული უსამართლობის გამოსწორებას და მთლიანი რესპუბლიკის ფარგლებში მთელი სამუსულმანო საქართველოს თავმოყრას.

მთავრობას განზრახული აქვს დროებით ქალ. ახალციხეში სამუსულმანო საქართველოს მმართველობის შედგენა და ამ მხარეში დემოკრატიულ რეფორმათა განხორციელება.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ კუთხეების შემოერთება და კულტურული აღორძინება აუცილებელი პირობაა ჩვენი რესპუბლიკის ნორმალური განვითარებისა და თვით არსებობისაც კი. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სამართლიანი მისწრაფება საქართველოს ერისა ჰპოვებს სრულ თანაგრძნობას მოკავშირე სახელმწიფოთა მხრივ.

რესპუბლიკის ფარგლებში ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა, თანასწორი პოლიტიკური უფლებით სარგებლობს. მთავრობა მიზნათ ისახავს შექმნას პირობები ყველა ერთა კულტურულ-ეროვნულ უფლებათა სრული უზრუნველყოფის და მათი განვითარების.

ჩვენს მდგომარეობას არ შეეფერება მართვა-გამგეობის ის რთული სისტემა, რომელიც გვიანდერძა რუსეთის იმპერიამ.

მთავრობა მიზნათ ისახავს მართვა-გამგეობის გამარტივებას. ის შეეცდება სავსებით დაეყრდნოს თვითმართველობების ორგანოებს, რომელთაც მიენიჭათ უფლება ადგილობრივ მართვა-გამგეობისა და რომელნიც ხალხთან დაახლოვებული არიან. მთავრობა ახლო მომავალში შემოიღებს საერობო თვით-მართველობას იმ მაზრებში, რომელნიც ჯერ კიდევ მოკლებულნი არიან ამ ინსტიტუტს და დაჩქარებით შეუდგება წვრილ საერობო ერთეულების მოწყობას, რომელნიც დემოკრატიული რესპუბლიკის საფუძველს წარმოადგენენ და ხალხის ბატონობას განამტკიცებენ.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება შექმნა ისეთის ადგილობრივი ადმინისტრაციისა, რომელიც კანონთა და განკარგულებათა ერთგული აღმასრულებელი იქნება და ხალხს ნამდვილ სამსახურს გაუწევს.

რესპუბლიკის განმტკიცება სასამართლოს რეფორმის დამთავრებას და მის ამუშავებას მოითხოვს. პირველ რიგში მთავრობა შეეცდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაუყოვნებლივ განხორციელებას და უმაღლეს სასამართლოს დაარსებას.

მთავრობა აღნიშნავს, რომ ომის ხანაში მრავალ მოვრული სენი გავრცელდა და ხალხს ფიზიკურ განადგურებას უქადის. მთავრობა ადგილობრივ თვითმმართველობებთან შეთანხმებით შეეცდება დაუყოვნებლივ შესაფერი ზომების მიღებას და სანიტარული საქმის გაუმჯობესებას.

საქართ. დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და დემოკრატიული წყობილების გასამტკიცებლად მთავრობა მიზნად ისახავს ხალხის საყოველთაო შეიარაღების დაკანონებას. ამავე დროს ჩვენ შევეცდებით დავრაზმოთ მოძრავი და საკმაოდ გაწვრთნილი მუდმივი ჯარი, რომელიც სახალხო გვარდიასთან ერთად იკისრებს რესპუბლიკის შინაურ და გარეშე მტერთაგან დაცვას.

უმიწო წვრილ და მცირე მამულიან გლეხთა მიწით უზრუნველსაყოფად მთავრობა განაგრძობს აგრარული რეფორმის დაჩქარებით განხორციელებას და ხელს შეუწყობს ინტენსიური სასოფლო მეურნეობის აღორძინებას.

მთავრობა უპირველეს მოვალეობად რაცხს, აღნიშნოს მწვავე ფინანსიური კრიზისი, რასაც რესპუბლიკა განიცდის. სავსებით მოწყვეტილი მრავალი თვის განმავლობაში მსოფლიო ბაზარს და სამრეწველო ცენტრებს, სახელმწიფო იძულებული იყო მრავალგვარი მოთხოვნილებანი მხოლოდ საკუთარი ძალით დაეკმაყოფილებინა. ბიუჯეტის შეუფერებელმა ზრდამ, რაიცა გამოწვეული იყო სახელმწიფოს არაჩვეულებრივი ხარჯებით, გამოიწვია ბონების ზედმეტი ბეჭდვა.

მთავრობა მიზნათ ისახავს ხარჯების შემოკლებას და ბიუჯეტის ახლო მომავალში მოგვარებას, გადასახადების ახალ სისტემის გამომუშავებას მშრომელთა ინტერესების უზრუნველყოფით და შემოსავლის ახალი წყაროების გამონახვას, საკრედიტო ოპერაციების მოწესრიგებას, სახელმწიფო ქონებათა ფინანსიური კეთილდღეობისათვის გამოყენებას და ამ გზით კრიზისის განელებას და საფრთხის თავიდან აცდენას.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ საღი ფინანსიური მეურნეობა მოითხოვს უცხოეთთან გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგების და საწარმოვო ძალთა განვითარებას. ამ მიზნით მთავრობა შეეცდება ფართო ასპარეზი გაუხსნას კერძო ინიციატივას, როგორც წარმოების, ისე აღებ-მიცემობის სფეროში, ხოლო სპეკულიაციის წინააღმდეგ მიღებული იქნება განსაკუთრებული ზომები.

მთავრობა ხელს შეუწყობს სოფლად ინტენსიური მეურნეობის გაჩაღებას, აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებში ახალ საწარმოვო დარგების შექმნას. ამავე მიზნით მთავრობა შეეცდება ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკის მეზობელ რესპუბლიკებთან შეთანხმებით მოგვარებას.

მთავრობა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმართველობანი და კოოპერატიული საზოგადოებანი დღითი დღე მაგრდებიან და საწარმოვო და საალებმიცემო ასპარეზზე ფართო შემოქმედების უნარს იჩენენ. მთავრობა მიზნათ ისახავს მათ დახმარებას, ამ გზით საზოგადოებრივ საკუთრების გაფართოებას და მის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენებას.

მთავრობა მთელი თავისი ძალ-ღონით შეეცდება შრომის ინტერესების დაცვას და სოციალური კანონმდებლობის ფართო საფუძველზე აგებას. ამავე დროს მას საჭიროდ მიაჩნია აღიაროს, რომ შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად დაეცა. ხოლო ეს ერთი მიზეზთაგანია ეკონომიური არევდარევისა და სანოვაგესა და სხვა საქონელზე ფასების აწევისა. მთავრობა მიზნათ ისახავს ხელი შეუწყოს შრომის ნაყოფიერების ზრდას და ამ საქმეში ის დაეყრდნობა შეგნებულ მუშათა ბანაკს, დარწმუნებული, რომ ეს აუცილებელ[...] ვრების აღორძინებისა და მშრომელ[...] ბატონობის განმტკიცებისა.

სასურსათო კრიზისი თანდა[...] მწვავდება. მთავრობა სცდილობს [...] განელებას საზოგადოებრივ ძალ[...] ამოქმედებით, თვითმართველობათა[...] კოოპერატივთა ამ საქმის გარშ[...] შეკავშირებით და იმედოვნებს, [...] საერთო ძალ-ღონით შესძლებს ამ [...] ქმის მოგვარებას და მოსალოდნ[...] საფრთხის თავიდან აცილებას.

პირველდაწყებითი სკოლები უ[...] გადაეცა ადგილობრივ თვითმართ[...] ლობებს. მთავრობა დაუყოვნებ[...] შეუდგება თვითმართველობებთან [...] თანხმებით პირველდაწყებითი უფ[...] სავალდებულო და საყოველთაო სწ[...] ლა-განათლების შემოღებას. მთავრ[...] ბის მიზანია აგრეთვე საშუალო ს[...] ლების ქალაქთა და ერობათა ხელ[...] გადაცემა. ამავე დროს მთავრ[...] აღნიშნავს, რომ თანამედროვე სკ[...] დაშორებულია ცხოვრებას. მთავრ[...] შეეცდება სამოსწავლო გეგმის ძირ[...] თად გადასინჯვას, სასწავლებლ[...] ახალი ტიპის გამომუშავებას და [...] თავრეს მიზნათ ისახავს ხალხში პრ[...] ფესიონალურ-ტეხნიკური და სამეუ[...] ნეო ცოდნის გავრცელებას და ს[...] ლის ახლად საფუძველზე აგებას.

მთავრობა თავის მოვალეობათ [...] არებს ახლო მომავალში განახ[...] ციელოს ეკლესიის სახელმწიფოსა[...] განცალკევება.

მრავალგვარი და მძიმე მოვალე[...] ეკისრება მთავრობას. მაგრამ ჩვენ [...] დი გვაქვს, რომ დამფუძნებელი კ[...] ბის კარნახით და მისი აქტიური [...] ნაწილეობით მართვა-გამგეობის ს[...] მეებში, ჩვენ ვსძლევთ დაბრკოლებ[...] დავიცავთ რესპუბლიკის დამოუკიდ[...] ლობას და შევინარჩუნებთ და გა[...] ფართოებთ რევოლიუციის მონაპ[...] ვართ.

**შემდეგი სხდომა**

სპირიდონ კედიას წინადადებ[...] კამათი დეკლარ. შესახებ გადადებ[...] იქნა 23 მარტისთვის, რომ ფრ[...] ციებს საშუალება მიეცეთ განიხილ[...] მთავრობის დეკლარაცია.

## ახალციხის მაზრ. მიწ[...] მუშ. დეპ. საბჭოს დადგ[...] ნილება.

ახალციხის მაზრის მიწის მუშა[...] დეპუტატების საბჭომ, მოისმინა [...] კრებაზე აზერბაიჯანის მთავრობის [...] ქართველოს მთავრობისადმი გამოგ[...] ვნილი ნოტა, ერთხმათ დაადგი[...] გლეხთა დეპუტატების საბჭო ითვ[...] ლისწინებს რა ახალციხის მაზრა[...] ოსმალეთის ემისარების და ზოგიერ[...] ბეგების მიერ ფოცხოვიდან მოწყობი[...] ავანტიურისტულ მოქმედებას ღრმა[...] დარწმუნებულია, რომ ახალციხის მ[...]

# სახელმწიფო კონტროლის მოხსენება

**დამფუძნებელ კრებისადმი 14 მარტის სხდომაზე სახელმწიფო კონტროლის მოქმედების შესახებ 1918 წლის ივლისის 1-იდან 1919 წლის თებერვლის 1-მდე.**

საქართველოს უზენაეს კრებას ამჟამათ ბევრი პირველ-ხარისხოვანი საშური საქმე აქვს გასაკეთებელი და ამიტომ ვერ ვბედავ აქ მისი ყურადღება შევაჩერო იმ უწესოებისა და ბოროტ მოქმედების კერძო შემთხვევებზე, ან იმაზე, თუ რა იღონა კონტროლმა იმათ გამო. ზოგი რამ იმათგან, ნათქვამის კონკრეტ მაგალითებით დასასაბუთებლად, აღნუსხულია ვრცელს წერილობით მოხსენებაში, რომელსაც აქვე წარმოვადგენ.

ფაქტიური რევიზიათა და სხვა საკონტროლო ცნობებით სახელმწიფო კონტროლი დარწმუნდა, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა უწინარეს ყოვლისა მტკიცე ზომები საბიუჯეტო სისტემის მოსაწესრიგებლათ. ერთ ასეთ ზომად მან მიიჩნია ყველა უწყებათა იმ ხარჯების წინასწარი რევიზია.

1917 წლის 12 მარტის დადგენილებით რუსეთის დროებითი მთავრობისა სახელმწიფო კონტროლიორს უფლება ჰქონდა მინიჭებული, სადაც და როდესაც იგი საჭიროდ დაინახავდა, მუდმივი წინასწარი კონტროლი დაეწესებია. თანახმად ამ კანონისა, მე გადავწყვიტე შემომეღო წინასწარი კონტროლი გასულ წლის 9 ნოემბრიდან ყველა ხარჯებისათვის, რომლებსაც ახდენენ სამინისტრონი და თბილისში არსებული მთავრობის მართველობანი, დაწესებულებანი და სახელოსნოები. ეს კანონიერი გადაწყვეტილება ვაცნობე მთავრობას და ყველა სამინისტროებს და შევატყობინე, რომ ამის შემდეგ არც ერთი ასიგნობა ხაზინისა და არც ერთი მოთხოვნა ფულისა ბანკების სახელზე არ იქნება განაღდებული, უკეთუ ამ დოკუმენტებს არ ექნება გრიფი სახელმწიფო კონტროლისა მეთქი.

მე არ ვეჭვობდი ასეთი რთულისა და ახალი საქმის სიძნელეში; არ ვეჭვობდი იმაშიც, რომ კონტროლი ვერ აიცდენდა უწყების მხრით საყვედურებს, თითქოს წინასწარი რევიზია აფერხებს საქმეს, აგვიანებს გარდახდას და სხ. მაგრამ მიუხედავად ამისა, კონტროლი მაინც შეუდგა წინასწარი რევიზიის განხორციელებას და ხსენებულ რიცხვიდან მოკიდებული ეს რევიზია სწარმოებს, თუმცაღა კონტროლის მოხელეებს უხდებათ მუშაობა არაჩვეულებრივ პირობებში,— საჩქაროდ და მრავალ რიცხოვან მთხოვნელებისა, კერძო პირთა და დაწესებულებებში მოსამსახურეთა მუდმივი იერიშების ქვეშ, რომელნიც, ხშირად მუქარითაც კი, მოითხოვენ „დაუყონებლივ“ კონტროლის მიერ დამტკიცებას ასიგნობისას, მიუხედავად იმისა, არის იმისათვის საჭირო საბუთი და საბუძველი თუ არა.

წინასწარი რევიზიის ცდამ მოგვცა სწორედ ის შედეგები, რომელთათვის ზრუნავდა კონტროლი. დაახლოვებით სამი თვის განმავლობაში (9 ნოემბრიდან 1 თებერვლამდე) შემოვიდა საწინასწარრევიზიოდ ყველა უწყებებიდან (გარდა რკინის გზისა) რომელზედაც ცხლავე ცალკე მოგახსენებთ) 5942 ასიგნობა საერთო ჯამით 93.550.525 მან. 63 კაპ., რომელთაგან სამხედრო უწყებასა და სახალხო გვარდიის შტაბს უწევს. 55.719.813 მან. 35 კაპ. ამ თანხიდან მიჩნეულია სწორედ და დამტკიცებულია 20.313.063 მანეთი 53 კაპ., გადადებულია შემდგომი რევიზიისათვის 70.082.731 მან. 87 კაპ. და დაუმტკიცებელია 3.052.730 მ. 22 კაპ. ეს უკანასკნელი თანხა (3 მილიონი), მაშასადამე, კონტროლის დაუმტკიცებლობის მიზეზით არ იქნა გამოწერილი დასახარჯავად და დარჩა ხაზინაში.

70.082.731 მან. 87 კაპ. ხარჯი გადადებულ იქმნა შემდგომი რევიზიისთვის უმთავრესად იმიტომ, რომ უფრო დიდი ნაწილი გამოთხოვნილი იყო ავანსის სახით (სამხედრო უწყებისა და სახალხო გვარდიისთვის), ხოლო ავანსი საზოგადოდ უნდა გამართლებულ იქმნეს მხოლოდ შემდეგ მისი დახარჯვისა. არა მცირე ნაწილი აღნიშნული ხარჯისა გაცემულია, სხვა და სხვა შემთხვევის გამო, იმ დაწესებულებათათვის, რომელთა შტატი საბოლოოდ კიდევ არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული; ხანდახან ხსენებული შტატები მთავრობის მიერაც კი არ იყო დამტკიცებული. ყველა ამ შემთხვევებში კონტროლმა შეუძლებლად სცნო ხარჯების წინააღმდეგ პროტესტი განეცხადებია, ვინაიდან ეს შეაჩერებდა მთავრობისათვის საჭირო ორგანიზაციებისა და მთელ დაწესებულებათა მოქმედებას. მაგრამ, ამტკიცებდა რა ასეთ ხარჯებს პირობით, სახელმწიფო კონტროლი დაჟინებით მოითხოვდა უწყებათაგან, რომ მათ დაეჩქარებიათ შტატების შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა, რაც მათ უმრავლეს შემთხვევაში კიდევაც შეასრულეს.

ხოლო რაც შეეხება დასახარჯავად განზრახულ ჯამის (5.052.730 მან. 22 კ.) დაუმტკიცებლობის მიზეზებს, ასეთები მრავალნაირი იყო; მაგალითად იყო არითმეტიკული შეცდომა გამოანგარიშებაში, არ იყო საბუთი, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო ამა თუ იმ ფულის მოთხოვნის სისწორის დამტკიცება, არ იყო გამართლებული წინეთ მიცემული ავანსი, სრულებით არ იყო მთავრობის მიერ ნებადართული კრედიტი და სხვა; ხანდახან მიზეზი იყო ხაზინისადმი პრეტენზიის ცხადი უკანონობაც.

დიდი ნაწილი გადარჩენილი ანუ დაზოგვილი ხარჯებისა უწევს მთავრობის ერთი დაწესებულების ანგარიშების გასწორებას მეორესთან, როდესაც განზრახული იყო ფული გადაეტანათ კერძო კასებში იმის მაგივრად, რომ ფული შეტანილი ყოფილიყო ხაზინაში და ჩარიცხულიყო ხაზინის შემოსავლად, როგორც ამას მოითხოვს კანონი, ვინაიდან ეს ფული გაყიდულ სახაზინო საქონელსა და ქონებაში იყო აღებული.

წინასწარმა რევიზიამ გარდა იმისა, რომ გადაარჩინა ამდენი თანხა უსწორო და უკანონო დახარჯვას, გადაგვადგმევინა სრულიად განსაზღვრული ნაბიჯი დაწესებულებათა მრავალრიცხოვან მიმდინარე ანგარიშთა გადასასინჯავად, მრავალ მათგანის დასახურავად, ხაზინაში საკრედიტო ანგარიშწარმოების მოსაწეს-რიგებლად და დასასრულ — ხელი შეუწყო შტატების შედგენის დაჩქარებას უწყებათა დაწესებულებებში.

წინასწარი რევიზიის ფარგალში შედის აგრეთვე განხილვა: სხვა და სხვა გვარი სამეურნეო საოპერაციო გეგმისა, ხელშეკრულებათა (ხაზინისათვის საჭირო მასალების მოტანის შესახებ), დასამზადებელ საქონლის ფასებისა, ხარჯთაღრიცხვის ზედმეტ კრედიტებისა და შემწეობისა დაწესებულებებსა და ცალკე პირობებისათვის მისაცემად, ხაზინის გასაცემისა წინანდელ ვალდებულების გასასწორებლად, და ბოლოს განხილვა უწყებათა შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის პროექტებისა. ცალკე შეკითხვები და მომართვანი მთავრობის დაწესებულებათა, ამ გვარი შემთხვევების გამო, შემოვიდა კონტროლში მთელი საანგარიშო დროის განმავლობაში 300. განხილულ საკითხთა ან შუამდგომლობათა უდიდესი ნაწილი გაშვებული იქმნა კონტროლის მიერ პირობით, ე. ი. ჯამის შეკვეცით და მისი მხრით წარდგენილ იქმნა საწინააღმდეგო პასუხი და შენიშვნები ზოგი ხაზინისადმი პრეტენზიებისა და მოთხოვნათა და დაუსაბუთებლობის გამო, ზოგი ამ მოთხოვნათა სიჭარბის გამო და ხანდახან კი მხოლოდ იმიტომ, რომ გამოანგარიშებაში შეცდომა იყო დაშვებული. ამგვარად წინასწარის წესით განხილული შემთხვევების საბოლოო შედეგი გამოიხატა იმაში, რომ ხაზინის ხარჯები შემცირებულ იქმნა 7 მილიონ მანეთით.

დასასრულ ორიოდე სიტყვა რკინის გზის ოპერაციების შესახებ.

საანგარიშო დროის განმავლობაში კონტროლის საწინასწარ სარევიზიოდ შემოვიდა 3,283 ასიგნობა 80,271,831 მან. 12 კ. ამ საერთო ჯამიდან გამორიცხულ იქმნა კონტროლის წინასწარი რევიზიის შემდეგ, ასიგნობების მოსპობით ან ასიგნობებში გასაცემად დანიშნული თანხების შემცირებით, სულ 406,273 მან. 2 კაპ. დანარჩენი ჯამიდან (79,865,558 მან. 10 კ.) 1919 წლის 1 თებერვლისათვის დამტკიცებულია 50,602,131 მ. 75 კ., გადადებულია შემდგომი რევიზიისათვის 16,411,320 მ. 25 კ. და დაუმტკიცებელია ე. ი. უარყოფილია 12,852,105 მან. 89 კაპ.

შემდგომი რევიზიისათვის გადადება გამოწვეული იყო უმთავრესად გზათა მოსამსახურეების დამატებითი დაჯილდოვების ხარჯებით, რომელიც სწარმოებდა საექსპლოატაციო კრედიტიდან და უნდა დაფარულიყო შესაფერის წყაროებიდან, აგრეთვე იმით, რომ ხარჯების უმრავლესობა სასწრაფოდ იყო მოთხოვნილი და ყველას განხილვა წინასწარ რევიზიის დროს შეუძლებელი ხდებოდა და კონტროლი იძულებული იყო, ნაწილი ხარჯებისა შემდგომი დოკუმენტალური რევიზიის დროისათვის გადაედო.

ხოლო რაც შეეხება ასიგნობათა დაუმტკიცებლობას, მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: რევიზიის დროს აღმოჩნდა გასაცემ ფულის ზედმეტი გამოანგარიშება, ხარჯების გადატა[...] არა სათანადო წყაროზე ან მათთვ[...] თავისუფალ კრედიტის უქონლობ[...] აგრეთვე ზედმეტი ხარჯები ექსპლო[...] ტაციისა და ამ ხარჯების დასაფარ[...] ვად კრედიტების არა თავის დროზ[...] გახსნა.

ფაქტიური რევიზიით გასინჯუ[...] იქნა 41 სადგური და 507 მატარ[...] ბელი; სადგურებზე აღმოჩნდა, რ[...] შემოსავალი ყველა არ იყო დანიშ[...] ლებისამებრ შეტანილი, ხოლო მატ[...] რებლის რევიზიის დროს აღმოჩნდ[...] მრავალი უბილეთო მგზავრები. ორი[...] შემთხვევაში კონტროლის მოთხოვნ[...] გადახდილი და შეტანილ იქნა ხაზ[...] ნაში 11,000 მან. გარდა ამისა შემ[...] სავალთა შემდგომი რევიზიის წყალ[...] ბით შეენახა ხაზინას 16.972 მან. [...] კაპ. შემოსავალი, ხოლო სულ ერთა[...] 28.000 მან. სადგურების რევიზი[...] დროს აღმოჩენილ იქნა უსარგებლო[...] გაჩერებული დატვირთული ვაგონებ[...] სადგურის საწყობებში ბარგი და ამ[...] ნათები არა სათანადო დოკუმენტებ[...] და სხვა.

რკინის გზის მართველობის სხვა [...] სხვა განყოფილებათა საქმისწარმო[...] ბის რევიზიამ აღმოაჩინა მისი სრუ[...] არევ-დარევა და უწესრიგობა, რომ[...] ლიც არის შედეგი, ერთის მხრით მ[...] სამსახურეთა მიერ თავის მოვალეობ[...] ასრულების ულმობინარობისა, ხოლ[...] მეორეს მხრით მათი შრომის ნაყოფი[...] რობის დაცემისა.

მთავარი ბუხჰალტერიის შემოს[...] ვალ-გასავლო ოპერაციებისა და ნა[...] დი ფულის მოულოდნელმა ფაქტიურ[...] რევიზიამ დიდი დეფექტები აღმო[...] ჩინა, მათ შორის ბოროტმოქმედება[...]

ამას გარდა კონტროლის მიერ [...] ნიშნულ იქნა რკინის გზის ყველა [...] ქონლის საწყობების სრული ფაქტი[...] რი რევიზია. ეს რევიზია ჯერ არ [...] თავებულა, მაგრამ მან უკვე აღმოა[...] ნა დავთრებში შეუტანელი სხვა [...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

[ც]ხრის მშრომელ ხალხს, მცირე ნაწილის [გ]არდა არავითარი მონაწილეობა არ [მი]უღია საქართველოს საწინააღმდეგო [მ]ოქმედებაში. საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობა ერთგვარად იცავს ყველა ივტერესებს განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა. [ა]ხალციხის მაზრა საქართველოს განუყოფილი ნაწილია და ახალციხის მუსულმან გლეხობას სურს ძმურათ ცხოვრება საქართველოს ხალხებთან. ახალციხის მაზრის გლეხების სახელით ვაცხადებთ რომ ჩვენ არ გვესაჭიროება ადერბაიჯანის მთავრობის მფარველობა და ვსთხოვთ მას ჩვენს საქმეებში ნუ ჩაერევა და ნუ შეუშლის ხელს ადერბაიჯანის და საქართველოს მეგობრულ კავშირს.

საბჭოს წევრები: ოსმან შევქი ეფენდი მიქელაძე, ყადირ გულიშვილი გვარამაძე, რაჯებ ალი-ოღლი ოსმაოღლიძე, სოლომონ შურსალ-შუხელ-ილოვი, მოულა-შორაფ, მოლა ალიოღლი გიორგი მელე შალვა გარდაიძე, ამა მოლაი-ოღლი, ჯიბ სული-ოღლი რუსტუმ იბრავიგ-ოღლი აზის სალეიმანოღლი.

## ქრონიკა

◆ **აგრანომიური კურსები.** მიწადმოქმედების სამინისტროსთან არსებულ აგრონომიურ კურსების მსმენელებმა მიმართეს კურსების პროფესორთა საბჭოს, რათა კურსების ვადა ერთ-ნახევრ წლის მაგივრად გაგრძელებულ იქმნას ორ წლამდე, რომ უფრო დეტალურად შეისწავლონ საგანი.

◆ **ახალქალაქის კომისარიატის** მოქმედება აღდგენილ იქმნა 15 მარტიდან.

◆ **დიპლომატიური წარმომადგენლის წასვლა.** ადერბეიჯანის მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან 20 მარტს სამსახურის გამო გაემგზავრა განჯაში, თავის მოვალეობის ასრულება კი გადასცა ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს რწმუნებულ ინჟენერ ვეჭილოვს.

◆ **ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენელმა** ახალქალაქში აცნობა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ დასახელებული მაზრის მცხოვრებლები ძლიერ გაჭირვებას განიცდიან სურსათის მხრივ და თუ მალე არ აღმოუჩინეთ დახმარება, ცუდი შედეგები მოჰყვებაო. დასათესი ხორბალი ამ წლისათვის არა აქვთ და თუ მათ არ მიეცათ, მცოვრებლებს საშვალება არ ექნებათ მომავალ წელში თავი გამოიკვებონ. დასათესად საჭიროა 30000 ფუთი. გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ.

სხვა მასალები რამოდენიმე მილიონ მანეთისა.

ხსენებული ქონება ახლა შეაქვთ დავთრებში, კონტროლის მოთხოვნლებით. ამავე რევიზიამ აღმოაჩინა აგრეთვე დიდ ფულად ღირებული სხვა და სხვა საქონლის დანაკლისი.

საანგარიშო დროის განმავლობაში კონტროლის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა რკინის გზის მართველობის საბჭოს სხდომაზე, სადაც განხილულ იქნა სულ 965 მოხსენება.

კონტროლის პროტესტებსა და შენიშვნებს ის შემდეგი მოჰყვა, რომ 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში პირად შემადგენლობის შესანახად და სხვა და სხვა სამუშაოსთვის ნავარაუდევი გასავალი ამოშლილ და შემცირებულ იქმნა—2.700.000 მანეთით, ხოლო 1919 წ ხარჯთ აღრიცხვაში—15 ნახ. მილიონ მანეთით.

ეს არის უმთავრესი მხარეები და შედეგნი სახელმწიფო კონტროლის მოქმედებისა. თუმცა კონტროლს საფუძველი ჩაყრილი აქვს. მაგრამ არ შემიძლიან ვთქვა, რომ მისი ორგანიზაცია დასრულებული და საქმეების მოწყობა ყოველ-მხრივ დამთავრებულ იყოს. მთავარი შესასრულებელი მორიგი საქმეა მუდმივი წინასწარი და ფაქტიური რევიზიის მოწყობა სახელმწიფოს სხვა და სხვა ადგილებში,—თბილისის გარედ. ამ საქმის ჯეროვნობით მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზს მცოდნე და გამოცდილ მოხელეთა ნაკლებობა შეადგენს.

ამ ნაირად, მოქმედება ჩემი და მოღვაწეობა ჩემდამი რწმუნებულ სახელმწიფო კონტროლისა საანგარიშო დროის განმავლობაში გამოიხატა შემდეგში:

1) გატარებულია კონტროლის რეფორმა, ჩვენი სახელმწიფოს მოთხოვნილებასთან შეფარდებული, რაიცა გამოიხატა 1918 წ. 6 დეკემბრის კანონში.

◆ **დაცემა.** 21 მარტს საღამოს 8 საათზე პრიუტის ქუჩა № 3. მცხოვრებ სტეფანიანის ბინაში შევიდნენ სამი შეაიარაღებული ბოროტმოქმედნი და სიკვდილის მუქარით წაართვეს 53000 ნიკოლოზის ფული 11000 ბონები და 13000 მანეთის საქონელი. შემდეგ ა. აკოპოვს წაართვეს 3000 მან. და მიიმალენ.

◆ **ქუთაისის სამაზრო კომისარი** ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს რომ სამაზრო კომისარიატის მოსამსახურენი მძიმე მატერიალურ პირობებში იმყოფებიან და მთხოვენ დეპეშით გვაცნობოთ შესაფერ განკარგულებისათვის. კომისარი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ სამაზრო კომისარიატის მოსამსახურეთა ჯამაგირი გათანასწორებულ იქმნას სხვა დაწესებულების მოსამსახურეთა ჯამაგირებთან.

◆ **მოხალოცი დეპეშა.** მთიელთა კავშირის რესპუბლიკამ შემდეგი მოსალოცი დეპეშა გამოუგზავნა დამფუძნებელ კრებას: „ამ ისტორიულ დღეებში, როდესაც ჩვენი მეზობელი საქართველო მოესწრო უდიდეს ბედნიერებას მოეწვია თავისი საუკეთესო შვილები ხალხის ბედის მოსაწყობად, მთიელთა კავშირის რესპუბლიკა მიესალმება საქართველოს პატრონ—მის დამფუძნებელ კრებას და გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ეს უმაღლესი კრება შეასრულებს ვალს იმ კანონების დამტკიცებისას, რომელიც დააყენებს საქართველოს ხალხს სხვა განათლებულ და დემოკრატიულ ხალხთან თანასწორად. შეგეწიოთ თქვენ ალლახი თქვენს მძიმე და საპასუხისმგებლო საქმეში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ტარკომერსკი.

◆ **სამეცნიერო და საპედაგოგიო ჟურნალ „განათლების“** ახალი სარედაქციო კოლეგია, რომელიც საშუალო და სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირმა აირჩია, ჟურნალის გამოცემის თადარიგს კიდეც შეუდგა. ჟურნალის ფასი ჯერ ისევ 20 მან. რჩება. ჟურნალი გაეგზავნებათ შარშანდელ ხელის-მომწერთაც და ახლებს შარშანდელი ნომერიც. ჟურნალი „განათლება“ მიღებულია მასწავლებელთა ორგანოდ. მისამართი: თბილისი, მეშვიდე გიმნაზია. პირველი წიგნი 1919 წლისა, რომელშიაც მოთავსებული იქნება დროს შესაფერი შინაარსიანი წერილები, სასკოლო პროგრამები და სხვა მასალები მოკლე ხანში დაიბეჭდება.

◆ **ბოტანიკურ ბაღში.** დღეს, ბოტანიკურ ბაღში პირველი საგაზაფხულო ეკსკურსია შესდგება. ეკსკურსია დილის 10 საათიდან იწყობა. ეკსკურსიაზე განმარტებას იძლევიან ბაღის სპეციალისტები.

2) მიღებულია ზომები სახელმწიფოს ანგარიშ-წარმოების და ანგარიშთა-წარმოდგენის სისტემის მოსაწესრიგებლად და ანგარიშების სარევიზიოდ წარსადგენად, დაწყებულია აგრეთვე მათი შემოწმებაც.

3) გამოკვლეულია მრავალი დარგი სახელმწიფო მეურნეობისა, სადაც აღმოჩენილია არევ-დარევა, უთავლყურობა და ბოროტ-მოქმედება, რის შესახებ თავის დროს უკვე მოხსენდა სათანადო უწყებათა და მთავრობას საჭირო ზომების მისაღებად.

და 4) წინასწარი რევიზიით, აგრეთვე ხაზინისადმი წარდგენილ მოთხოვნილებათა განხილვით და ფაქტიური რევიზიით აცილებულია უსწორო, უდროვო ან მიზანშეუწონელი ხარჯები საერთო ჯამით 32 მილიონ მანეთზედ მეტი.

მე თვითონ ვიცი, რომ მოხსენებული შედეგები დიდი არაა, მაგრამ იმ გარემოებაში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩემი პატარა ძალღონე და დიდი მეცადინეობა, სამწუხაროდ, მეტს ვერ გასწვდა.

მოვახსენებ—რა ყველა ამას საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომელიც ამიერიდან უზენაესი პატრონი და გამგებელია სახელმწიფოს ყველა დარგისა და მათ შორის კონტროლისაც, აქვე წარმოვადგენ ჩემი, ვითარცა სახელმწიფო კონტროლიორის, თანამდებობიდან გადადგომის ქაღალდს და სულით და გულით, ვინატრი, ვიმედოვნებ და მოველი, რომ ეს უზენაესი ძალა უფლებისა და ავტორიტეტის პატრონი კრება სახელმწიფო კონტროლის მოწყობის საქმესაც ისეთ სიმაღლეზე აიყვანს და განამტკიცებს, როგორც ეს ჩვენი სახელმწიფოს მოთხოვნილებას შეეფერება.

* * *

ქალწულს ჩონგური უძევს კალთაში
სმენელს იმონებს თეთრის თითებით ჰანგის თამაში.

მას გული უძგერს გრძნობა-მორეულს.
იქნებ და ელის ვისმე შორეულს?!

ყელმოღერილი ეკვრება ჩონგურს და გრძნობას ალევს.
ნეტარ, ვინც მისგან ტკბილ ნექტარს დალევს!

ცრემლიც უბრწყინავს თითქოს თვალებში.
რა ტურფა მოსჩანს იქ მყოფ ქალებში!

მღერის რაინდის თავგადასავალს:
მის ბრძოლას, ტრფობას და შავს გზა-სავალს.

ერთი ამოთქმაც და გადასწყდება.....
ვგონებ თვით ქალწულს გული დასწყდება.

რაინდი მოჰკლეს.—დადუმდა ქალი.
მან გადაავლო იქ ირგვლივ თვალი —

და დაინახა: მისის სიმღერით იცრემლებოდნენ.
მხოლოდ სხვა ქალნი შურით კვდებოდნენ,
რადგან ჩემს გულში იგი ღვთაებად ისახებოდა
და მისი მღერა და სიმთა ჟღერა
ჩემს სმენას აღარ ავიწყდებოდა.

**სანდრო შანშიაშვილი.**

**თავდასხმა.** 21 მარტს ღამით მახათის ქუჩაზე მიმავალ ბ. ვარდიევს თავს დაესხნენ 4 შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და სიკვდილის მუქარით წაართვეს 8000 მანეთი ნიკოლოზის ფული.

◆ **მდგომარეობა ურმიაში.** ურმიიდან იტყობინებიან, რომ ქურთები სძარცვავენ ურმიის მცხოვრებლებს; ურმა თავის საკუთრებად გამოაცხადეს. ქურთებთა შორის არიან ბევრი ოსმალთა ასკერები. გუმბრიდან ურმიაში ჩასულან 30 ოსმალთა ასკერები, ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს და მობილიზაცია გამოაცხადეს 18 წლიდან 25 წლამდე.

## სამხატვრო ქრონიკა.

— **ტარტო.** დღეს დილით—„კინი“, საღამოთი—„შერლოკ ხოლმსი“.

— **არტისტ. საზ. საკონც. დარბაზი.** ორშაბათს 31 მარტს არტ. საზ. საკონცერტო დარბაზში ი. ლასკარის, ლ. სპანიოლის, ფ. პოლიაევის და ვ. ზახაროვის მონაწილეობით გაიმართება ნინა ორლოვის კონცერტი.

— **კონსერვატორიის დარბაზი.** პარასკევს, 4 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში თ. გარტმანის და ვ. ზახაროვის მონაწილეობით გაიმართება სონატური საღამო.

— **რუსულ კლუბში.** დღეს სანიღაბო საღამო იმართება. 5 აპრილს „რუსულ სიმღერის საღამო“ დიდი კონცერტი.

— **ერივანის თეატრი.** სამშაბათიდან (25 მარტი) თეატრში განახლდება წარმოდგენები. მიდის საინტერესო ოპერეტტა „ქურუმი ცეცხლისა“.

— **კინოპალახი.** გუშინდლიდან კინოპალასში დაიდგა საინტერესო სურათი: „კოშმარიანი საღამო“, რომელშიაც გამოდიან ცნობილი დონელი მსახიობი ქალი ასტა ნილსონი და კინემატოგრაფის ცნობილი მსახიობი ვ. გარრისონი.

## აფხაზეთის საბჭოს პროტესტი მოხალისეთა წინააღმდეგ

დემოკრატიულ არჩევნების საფუძველზე არჩეულ აფხაზთა წარმომადგენლობამ აფხაზეთის სახალხო საბჭო გახსნა. უკანასკნელ დღეებში საბჭოს თათბირი ჰქონდა აფხაზეთის ტერიტორიაზე გაგრის რაიონის მოხალისეთა არმიის მიერ დაჭერის შესახებ. ვცნობთ რა მომხდარ ფაქტს, შეუსაბამო და ასაშფოთებელად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში მოყოლებული აბხაზეთის ავტონომიურ მმართველობამი დაადგინა: ეცნობოს ეს ამბავი დეპეშებით საქართველოს მთავრობას და თვით უმაღლეს მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენელთ, რომ ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს აბხაზეთის ტერიტორიის დაჭერის გამო, რაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან მოითხოვს დაუყონებლივ ზომების მიღებას და დაჭერილ ტერიტორის გაწმენდას მოხალისეთა არმიის მიერ საზღვრებამდეს მდ. მზიმთან.

აბხაზეთის სახ. საბჭოს თავმჯდომარე ემუხვარი.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

21 მარტი

### ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი,** მარტის 21, ც. ა. კ. ბ. ბ. იულეტენი.

**პსკოვის ფრონტზე.** პეჩორის მიმართულებით, რკინის გზასთან ბრძოლაა. მარიენბურგის მიმართულებით ლატიშელთა წითელი არმიის ნაწილები შეტევას განაგრძობენ. ხელთ იგდეს ტყვიისმფრქვეველები და 15,000 ტყვია. ბრძოლა რკინის გზის ახლო სწარმოებს. პონოვეჟის მიმართულებით, პონევეჟეს დასავლეთით ლატიშელთა წითელ არმიას ბრძოლა აქვს მტერთან ვილენის რაიონში, ლიტვის მიმართულებით, მოწინააღმდეგემ ბრძოლით დაიჭირა დაბა პრელიი.

**სამხრეთის ფრონტი.** დონეცის რაიონში ბრძოლის შემდეგ დავსტოვეთ სად. მადრიკინო, რუდჩენკოვო და დებოლცევო. ველიკოკნიაჟის მიმართულებით დამატებითი ცნობების თანახმათ. სადგურ ზიმოვნიკის დაჭერის დროს, ჩვენ ჩაგვივარდა ხელში 1 ტყვიისმფრქვეველი, თოფები, მრავალი ტყვია და სხვა სამხედრო მასალა. მრავალი ტყვეთ წამოვიყვანეთ. დიდი ლიმანის სამხრეთ აღმოსავლეთით ბრძოლით დავიჭირეთ ნიკოლაევსკი და კრუტოვი.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ორსკის რაიონში ტროიცკის მიმართულებით ბრძოლით დავიბრუნეთ ვიხშეულიზავეტინსკოე. სტერმიტომის რაიონში ზემო-ურალის მიმართულებით ჩვენი ჯარი ვერხნე-ურალსკისა სამხრეთ დასავლეთისკენ იწევს. უფის რაიონში მდ. ბელაიაზე 60 ვერს. უფის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენ რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. სტერმიტამაკსკის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა შინგაკლიასკენ დაიხია. ბუგულმინის ფრონტზე ჩვენი ჯარი ბრძოლას აწარმოებს. პერმის რაიონში რკინის გზასთან მზვერავები მოქმედებენ.

**ეკატერინოსლავი.** მარტის 19. წითელმა ჯარმა აიღო სადგური (?) ხელთ იგდო 4 ორთქლმავალი. ოდესის მიმართულებით წითელ არმიელთა შეტევა გრძელდება.

**კიევი.** მარ. 20. ოდესაში მინისტრთა საბჭო(?) დაიშალა იმ უთანხმოების გამო, რომელიც მოკავშირეებსა და მოხალისეთა არმიის შორის დაიწყო.

**მოსკოვი.** მარ. 21. რიდინის მაზრაში, 16 სოფელში დაარსდა სამკითხველოები.

**ლუგანსკი.** მარ. 19. როსტოვის გაზეთები იწყებიან, რომ იალბუზის მთიდან რამოდენიმე დღეა კვამლი ამოდის. რამოდენიმე ათასი წლის ყინულები დნება და მდინარებათ ეშვება დაბლისკენ. მოელიან ცეცხლის მფრქვეველი მთის მოქმედების განახლებას.

**კიევი,** მარ. 21. **სამხედრო ცნობა.** პროსკუროვის მიმართულებით, ლიტინის აღების დროს ხელთ ჩაგვივარდა შავი ზღვის დივიზია შტაბით, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე პოლკებით. ტყვეთ წამოვიყვანეთ გენერალი, 4 პოლკოვნიკი, 1200 ჯარისკაცი, 2 ბატარეა, 60 მომქმედი ტყვიისმფრქვეველი როვნოს მიმართულებით მოროტოპოლი დავიჭირეთ.

**მოსკოვი.** ჩვენი ჯარის წინსვლა გრძელდება. მოგილიოვი - პოდოლსკი აჯანყებულებმა დაიჭირეს.

**რიგა,** მარტის 21. №-ის არმიის შტაბის ცნობა, ტუკუმის მიმართულებით წითელ არმიის ნაწილებმა წინ წაიწიეს. კემერნიდან განდევნეს მოწინააღმდეგე. ჩვენებმა გარს შემოერტყენ ბარონსკის რაზმს. და 4 ტყვიის მფრქვეველი გაანადგურეს. დაიჭირეს სოფლები რამაცენი და რეტინი.

**ორენბურგი,** მარტის 20. ორენბურგის მაზრაში უკან დახეულებმა გლეხებს ჩამოართვეს ცხენები. ცხენებს ხშირათ უფასოთ ართმევდენ.

**მინსკი,** მარტის 21. ფრონტიდან დაბრუნებულ სამხედრო საგუბერნიო კომისარმა განაცხადა, რომ ფრონტზე მდგომარეობა მტკიცეა. ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებენ უმეტეს ნაწილათ თეთრგვარდიელთა ცხენოსანი ნაწილები, რომლებიც აჯანყებას ახდენენ მცხოვრებნი საბჭოთა მთავრობას მხარეზეა. მრავალი სოფელი ზიდავს პურს წითელი არმიისთვის. აუცილებელია კომუნისტებს ძალა მოემატოთ.

**კიევი,** მარტის 21. ჟმერინკაში საბჭოთა ჯარი შევიდა.

**პარიჟი,** მარტის 18. პორტუგალიაში რესპუბლიკანელებმა ლისიბონი დაიჭირეს. როიალისტები იპორტოში გამაგრდენ.

**ბერლინი,** მარტის 18. გერმანიის მაქსემბურგში მინის ქარხნის მუშები გაიფიცნენ.

**კიევი,** მარტის 21. უკრაინის წითელი ჯარი ოდესის მიმართულებით წინ მიიწევს. მათ დაიჭირეს სადგური კოლოსოვკა.

**კაზაკინი,** მარტის 21. ჟმერინკის რაიონში გლეხები აჩერებენ პეტლიურას მიერ გალიციაში გრუზის გზავნას. გლეხებთან ნამდვილი ბრძოლა იმართება.

**კიევი,** მარტის 20. ბარცელონაში პირველი კრება ქონდათ მუშათა საბჭოს დეპუტატებს. კრებას დაესწრენ დელეგატები კატოლონიის პროვინციალურ ქალაქებიდან. ერთხმათ მიიღეს რეზოლიუცია კატოლონიის ავტონომიის შესახებ. ბრაზილიაში ძლიერია ბოლშევიკური მოძრაობა. სამხრეთ პროვინციაში შესდგა მუშათა საბჭოები, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალა-უფლება. ბრაზილიის მთავრობამ თხოვნით მიმართა შეერთებულ შტატებს გამოგზავნოს ჯარი ამბოხების ჩასაქრობათ.

**მოსკოვი,** მარტის 21. კომუნის. ინტერ. კონგრესის რეზოლიუციით გადაწყვეტილია შეადგინონ აღმასრულებელი კომიტეტი რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, შვეიცარიის, სკანდინავიის და ბალკანეთის კავშირის წარმომადგენლებისაგან. მესამე ინტერნაციონალის აღმ. კომ. თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ზინოვიევი, მდივნებათ ბილიბინოვასა და ბოროვსკი. დაადგინეს გამოსცენ ჟურნალი „კომუნისტური ინტერნაციონალი“ რუსულ ფრანგულ და გერმანულ ენაზე. ჟურნალი თვეში გამოვა ერთხელ.

**მოსკოვი,** მარტის 21. რ. კ. პ. ყრილობის 19 მარ. საღამოს სხდომაზე ლენინი წინადადებას იძლევა მიიღონ პროგრამის წინასწარი პროექტი და ამტკიცებს, რომ პროგრამის შედგენის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოთ აბსოლუტურათ დამყარებულით.

პროლეტარიატს და გლეხობას უნდა აუხსნათ, რომ კომუნისტური რეზოლიუცია აუცილებელი და აუცდენელია. პროგრამას საფუძვლათ უნდა დაედოს მეცნიერული ეკონომია და უნდა გახდეს აგიტაციის სახელმძღვანელოთ. ყოველი მისი პარაგრაფი უნდა შეიგნოს ყველა მშრომელმა, ერთა თვითგამორკვევის საკითხზე ლენინმა სთქვა, რომ ნაციონალურ საკითხში არ შეიძლება ისე მსჯელობა, რომ აუცილებლათ საჭიროა ეკონომიური გაერთიანება. რა თქმა უნდა ის საჭიროა, მაგრამ ჩვენ უნდა მივაღწიოთ მის ცხოვრებაში გატარებას აგიტაციის საშუალებით და ჩვენ უნდა უთხრათ სხვა ერებს, რომ ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ და გვწადია ყველა ეროვნების მუშათა და გლეხთა საკუთარ სურვილზე დამყარებული კავშირი. მიიღეს ლენინის წინადადება საფუძვლათ ეღიარონ მერვე ყრილობის კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამა. პროექტი გადაეცა კომისიას საბოლოოთ გადასაშინჯავათ.

**მოსკოვი.** მარ. 21. გამოქვეყნდა კომისართა საბჭოს დეკრეტი გაიწვიონ სასოფლო მეურნეობის სამსახურში ყველა სპეციალისტი, რომლებსაც სია აქვს ტეხნიკურ ძალების განმანაწილებელ მთავარ ბიუროს.

## ინგლისური პრესა.

**საჰაერო თავდასხმა სპარტაკელებზე**

ლონდონის კორესპონდენტი აღწერს საჰაერო თავდასხმას სპარტაკელებზე და ამბობს, რომ ეს თავდასხმა უფრო ძლიერი და დაუნდობელი იყო ვიდრე პარიზზე და ლონდონზე. ზევიდან ისროდენ ბოჭკებს ძლიერი ძალის ასაფეთქებელ მასალებით. ამ ბოჭკებს ესროდენ მხოლოდ სპარტაკელთა ბუდეებს. რამოდენიმე მიწისქვეშა სადგური, სადაც სპარტაკელები იყვნენ გამაგრებული, სრულიად განადგურებულია. ორივე მხრი[ვ] აამუშავეს დიდი ნაღმის ფრ[ქვევ]ლებ[ი] და ყუმბარები მხრჩოლავ[ი] [გ]აზებით. სამხედრო ჰაეროპლანებმა გა[მ]ო[დ]ევნეს სპარტაკელებისაგან ის სახლის თავები, სადაც მათ ტყვიისმფრქვეველები ედგათ. ჰაეროპლანები სახლის თავებიდან 150 ფუტის სიმაღლეზე ფრინავდენ.

**გერმანელების ახალშენების საკითხი.**

გერმანიის ახალშენების საკითხი ჯერ კიდევ ღიათ ჩაიარა. რადგან კონფერენციის მთელი მუშაობა მიმართულია ზავის წინასწარ პირობების შემუშავებისკენ, საფრანგეთის პრესის ცნობის გამო, სადაც გათვალისწინებულია ახალშენთა ბედი, არ იქნება ზედმეტი თუ მოვიგონებთ რომ დროებითი გადაწყვეტილებანი, რომელიც დღემდე მიიღეს, ეხებოთა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის აფრიკას, რომლის გადაცემა უნდოდათ სამხრეთ აფრიკისთვის და ეხებოდა აგრეთვე ახალ გვინეას, რომლის გადაცემა უნდოდათ ავსტრიისთვის და დასასრულ კუნძულ სამოსს, რომელიც უნდოდათ გადაეცათ ახალ ზელანდიისთვის.

**ლვოვი**

პოზენიდან მოსული დეპეშები იუწყება, რომ უკრაინელები გუშინ ლვოვს უშენდენ. ასზე მეტი ყუმბარა დაეცა ქალაქს, არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

**კომუნისტები ბუდაპეშტში.**

ბუდაპეშტში კომუნისტები პარლამენტის შენობის, რამოდენიმე ბანკის და საზოგადო დაწესებულების ხელში ჩაგდებას შეეცადენ, მაგრამ მთავრობის ჯარმა კომუნისტები ქალაქიდან განდევნა.

ბერლინიდან მოსული ნახევრად ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ გერმანიის ჯარმა ბრძოლის შემდეგ ბოლშევიკებს მეორედ წაართვა კურლიანდიაში სორუნდენი და სკაიხენი და დიდი ზარალი მიაყენა მათ. ხმები, თითქოს რიგა გერმანელებს აეღოთ, არ არის მართალი. ფონტებლის ისტორიული ავეჯი, რომელიც 1914 წ. ტულზაში გადაიტანეს გერმანელების ჯარის პარიზში მოახლოვების დროს, უკანვე გადმოიტანეს. მოსამსახურენი ამ ჟამად ავეჯს თავდთავის ადგილას აწყობენ.

**ავღანისტანის ახალი ემირი.**

ავღანისტანის ემირის მოკვლის ამბავი მართალი გამოდგა. მის მემკვიდრედ აღიარეს აბანულა.

**მდგომარეობა ბერლინში.**

**ბერლინი.** ორშაბათს მოელიან საერთო მუშაობის აღდგენას. მთავრობის ჯარი მდგომარეობის ბატონია და სპარტაკელებს აღმოსავლეთ ნაწილისკენ სდევნიან უწესრიგო სროლაა ქალაქის შუაგულში, სადაც სპარტაკელებმა ცენტრალურ ტელეგრაფის სადგურს მიაღწიეს, გრძელდება.

**ლამანშის გვირაბის პროექტი**

**ლონდონი.** რ. ს. იუწყება, რომ ლამანშის გვირაბის პროექტი მოიწონა საზავო კონფერენციის კომისიამ. ფიქრობენ, რომ გვირაბს გაიყვანენ 6 წელიწადში და დაჯდება 20 მილიონი. „დეილი მეილი“ სწერს, რომ პარიზში კომისიას თათბირი აქვს აგრეთვე ბასფორის და გიბრალტარის სრუტეებში გვირაბის გაყვანის შესახებ.

**მარსელსა და ბრიამსონ-ულკის რკინის გზა.**

საფრანგეთის და იტალიის პოლიტიკურთა და კომერციულ მოღვაწეთა დელეგაცია შეიკრიბა მარსელში. მარსელსა და ბრიმსონ-ულკს შუა რკინის გზის გაყვანის საკითხზე სათათბიროდ. მათ აზრათა აქვთ პირდაპირი გზით შეუერთონ მარსელი ტურინს.

**ამერიკის მოთხოვნილება გერმანიისაგან**

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ამერიკა მოითხოვს გერმანიისაგან (დამახინჯებულია) 800 მილიონს. ეს წერილობით მოთხოვნილება წარედგინება საზავო კონფერენციას.

**ნაუენი,** მარტის 20. უნგრეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა სოციალიზაციის სამინისტრო დაარსოს მრეწველობის სოციალიზაციისთვის მოსამზადებლად.

**კიევი,** მარტის 19. მადრიდში მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოხდა. მთავრობის წევრებზე თავდასხმა მოახდინეს.

## ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა.

საქართველოს ქალაქის წარმომადგენელთა ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება ქალაქთა კავშირის უმთავრეს კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ს. ი. რომაქიძის მოხსენება სახალხო განათლების შესახებ, შესაფერი ყურადღება მიაქცია

მოხსენებაში აღნიშნულ საჭიროებებს და დაადასტურა განათლების განყოფილების მუშაობის შემდეგი გეგმა:

1. ქალაქთა კავშირის სახალხო განათლების განყოფილებამ უნდა იკისროს ხელმძღვანელობა ქალაქებში საყოველთაო და უფასო სწავლის შემოღებისა. ამისთვის საჭიროა მოეწყოს ყველა ქალაქებში დაწვრილებით აღწერა სასკოლო ასაკის ბავშვებისა და იმის მიხედვით შესდგეს სკოლების ქსელი თვითეულ ქალაქში.

2. ამავე მიზნის ცხოვრებაში გასატარებლად კავშირის მთავარმა კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს შესაფერი კანონი სასკოლო გადასახადისა და ეცადოს ეს კანონი გაატაროს პარლამენტში.

3. სახალხო განათლების ჯეროვან პირობებში ჩასაყენებლათ საჭიროა ქალაქთა კავშირმა იზრუნოს სასკოლო აღმშენებლობაზე. ამისთვის საჭიროა განათლების განყოფილებამ იყოლიოს საჭირო სპეციალისტები რესპუბლიკის ქალაქებში აღმშენებლობის წესიერ ნიადაგზე დასაყენებლათ.

4. შესაფერი სასკოლო ავეჯის უქონლობა ძლიერ აფერხებს განათლების საქმეს. ასეთი ავეჯის დამზადება ჩვენ ქალაქებში მოუხერხებელია. ამიტომ საჭიროა მთავარმა კომიტეტმა მოაწყოს ქალ. თბილისში შესაფერი სახელოსნოები და აქ დაამზადოს ყოველგვარი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საშკოლო ავეჯი. ასეთი ცენტრალური სახელოსნოები დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნის პატარა ქალაქებს საშკოლო ავეჯის ნორმალურ ფასებში მიწოდებით.

5. გაეროვნებულ სკოლას სჭირია შესაფერი სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები სახალხო განათლების განყოფილებას შეუძლია ამ მხრივ დიდი საქმე გააკეთოს და განათლებისათვის მას აქვს მშვენივრათ მოწყობილი სტამბა და სახაზავი სახელოსნო. დასჭირდება კიდეც ლიტოგრაფიის და ცინკოგრაფიის მოწყობა. ამაების შემწეობით განყოფილებას შეუძლია მოაწყოს სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების გამომცემლობა.

6. ამ უკანასკნელ დროს წიგნებით და სასწავლო ნივთებით ვაჭრობაც სპეკულიაციის საგნათ გადაიქცა. საჭირო წიგნის შოვნა ბაზარზე შეუძლებელი გახდა. ქალაქთა კავშირის საგანმანათლებლო განყოფილებას ამ მნიშვნელოვან საგნებს უნდა მიაქციოს ყურადღება. ამ მიზნისათვის საჭიროა განათლების განყოფილებამ მოაწყოს თბილისში წიგნის და საკანცელარიო ნივთების სავაჭრო სახლი, საიდანაც შეძლება ექნება ყველა ქალაქებს შეიძინოს ყოველგვარი წიგნი და საკანცელარიო ნივთი. ასეთი სავაჭრო სახლი ადვილათ შესძლებს საქმე დაიჭიროს მსოფლიო ბაზართან და იქონიოს საუკეთესო სახელმძღვანელოები და საერთო ყოველგვარი ლიტერატურული ნაწარმოები ყველა ენებზე.

7. სწავლა-აღზრდის საქმეში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ამ ჟამათ ევროპაში სასკოლო პროექტორების მოწყობას. ეს ახალი და მრავალ მნიშვნელოვანი საქმე ქალაქთა კავშირმა უნდა აიღოს თავის ხელში. რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება დღევანდელ პირობებში, სახალხო განათლების განყოფილებამ უნდა განახორციელოს ეს საქმე სხვა და სხვა ქალაქებში სასკოლო პროექტორების მოწყობით.

8. მეცნიერებისაგან დამტკიცებულია, რომ აღზრდა ყმაწვილისა იწყება დღიდგან მისი დაბადებისა. სკოლაში შესვლამდე ყმაწვილი 6—7 წელიწადს ხშირათ ისეთ პირობებში ატარებს, რომელნიც სრულიათ ასახიჩრებენ მის ზნეობრივ არსებობას. საჭიროა განათლების განყოფილებამ მოაწყოს ქალაქებში თავის ხელმძღვანელობით საკმაო რიცხვი საყმაწვილო ბაღებისა.

9. სკოლის გარეშე განათლების საქმე ჩვენ ქვეყანაში არ არის დაყენებული სასურველ ნიადაგზე. არამც თუ პატარა ქალაქებში, დიდ ქალაქებსაც ძალიან უჭირთ ამ საქმის რაციონალურ საფუძველზე დამყარება. ამიტომ ჩვენი ქალაქებისთვის სკოლის გარეშე განათლების გასავრცელებლათ საუკეთესო საშუალებათ უნდა იქმნას ცნობილი მოძრავი სახალხო უნივერსიტეტის დაარსება. ამ საქმის გაკეთება ცალკე ქალაქებს არ ძალუძთ. ამიტომ კავშირის სახალხო განათლების განყოფილებამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს და რაც შეიძლება ფართოთ გაატაროს ცხოვრებაში ამ იდეის განხორციელება.

## მგზავრად კახეთში

გამეგონა კახეთი საქართველოს ზურმუხტიაო, და მეც განვიზრახე საყვარლიეროდ მისი დათვალიერება.

თერთმეტის ნახევარზე ძლივს გავედი სადგურიდან. მატარებელი დამტვრეულ ურემივით მიღოღამდა. თუ სადგურიდან სადგურამდე მატარებელი ერთ საათს მიდიოდა, სამაგიეროდ თვითეულ სადგურზე მატარებელი ორ საათობით იდგა. არავინ იცოდა რად ვიდექით სადგურებზე იმდენი ხანი, ბარგიც დატვირთული იყო, ორთქლმავალიც მზად იყო, მაგრამ ვიდექით და ვიდექით. ამ წვალებაში ორთქლმავალს ვაზიანს იქით წყალი შემოაკლდა და შუა გზაში დავდექით. „ვეღარ წავალთ, ორთქლმავალში წყალი აღარ არისო". შეატყობინეს ნავთლუხს მოგვაშველეთ ორთქლმავალიო, ორი საათი ამ ორთქლმავალს ველოდეთ, მგზავრები კი დინჯად ისხდნენ სუფრა გაეშალათ და კახურს წუნარად შეექცეოდნენ.

— ხალხო, რატომ ყურადღებას არ მიაქცევთ, რატომ გზის უფროსებს არ მიმართავთ, რომ ესე დაგვიანებით მივდივართ, სადგურზე ხომ შეიძლება ცოტა დრო დაგვაყენონ და მალე გაგვიშვან, რომ ესე არ დავიგვიანოთ,— მივმართე მე ერთ სუფრას.

— ღვინო მიირთვით, დაბძანდით, რა დროს საჩივარია, ეხლა ერთობაა. ეგ მატარებელი სულ ესე დადის, ან რა ეჩქარება, დილამდე ხომ ჩავა და, როგორც უნდა ისე იაროს, თავის ნებაა.

ამისთანა პასუხმა თითქმის დამაკმაყოფილა, მართლაც და კახელს არსად არ ეჩქარება, ის დინჯად მიდის, შეუდრეკლივ, იცის რომ რაც უნდა მოხდეს ის მაინც თავისას გაიტანს და „აჩქარებითა სოფელი, ხომ არვის მოუჭამია".

გზაში კახელები ღვინოს შეექცეოდნენ და პოლიტიკაზედაც ლაპარაკობდნენ. მათთვის პოლიტიკური პარტიები არსებობენ როგორც ნომრები; ზოგი პირველ ნომერს აქებდა, ზოგი მეორეს.

— ჰაი გიდი ეხლა გავიგეთ ძალა მეორე ნომრისა, თორემ სულ ამ ნომერს მივცემდი ხმასაო, ამბობდა ერთი შუა ხნის კაცი. ეხლა ყველამ პირველ ნომერს მივეცით ის კარგი გვეგონაო.

— მერე რითი არის მეთქი, ცუდი პირველი ნომერი, შევეკითხე მე.

— პირველი ნომერი მოუსვენარია, ხან რას ეძგერება, ხან რას, სანამ ეგ ნომერი იქნება ჩვენ არ მოგვასვენებსო.

აქ გლეხმა მოხსნა პირი და თავიანთ სოფლის ადმინისტრაციის ბოროტმოქმედებაზე, მექრთამეობაზე, ყაჩაღობაზე ბევრი რამ ილაპარაკა.

— კიდევ მალე იქნება არჩევნებიო? შემეკითხნენ.

— არა, მეთქი, მაგრამ თქვენ ახალ არჩევნებამდე დაგვიწყდებათ ნომრების ძალა და ისევ პირველს გაიყვანთ მეთქი.

თელავში შუაღამისას ძლივს ავედით. მაგრამ სადგურიდან თვით თელავი ოთხი ვერსით ყოფილა დაშორებული, და მეეტლეები თითო კაცის აყვანაზედ სამ თუმანს თხოულობდნენ. მე მეეტლეს ვსთხოვე საუკეთესო სასტუმროში მივეყვანე. მაგრამ მეეტლემ მითხრა, რომ მახარაძის საუკეთესო სასტუმრო რომ იყო „ბულვარის" პირად ეხლა ის სასტუმრო პირველმა ნომერმა ჩამოართვა და იქ ეხლა ბიურო აა პირველ ნომრისა, იქვე სახალხო გვარდიააო წინად სახალხო გვარდიის ბაზაზის ნადუქნარი ეჭირა, ეხლა კი ის მახარაძის სასტუმროშიაო. ისე გახადეს იატაკები, რომ კაცი ზედ არ მიაფურთხებსო, შეშასაც კი შიგ ოთახებში სჭრიან არა კადრულობენ ეზოში ჩამოსვლასაო.

— მერე პატრონი ხომ ჰყავს, რატომ არ იჩივლებს მეთქი.

— აბა ვისთან უნდა იჩივლოს, ყველგან სულ პირველი ნომრები სხედან. არაფერი არა გავა რაო. აი ცხენებიც, ვინც ჰქვა მოიხმარა და თავის ცხენები თელავს გააცილა, ხომ იმას არ წაართვესო, ვინც არა სულ წაგვართვესო.

— სოფელშიაც წაართმევენ, იქაც ხომ ჰკრეფავენ ცხენებს, ეხლა ომია და უნდა საქმე გავიჭირვოთო.

— ვინც ქრთამს დახარჯამს იმას არც ცხენს წაართმევენ და არც ღორს. ღარიბი ხალხის ბედი მუდამ ესე იქნება.

მივუახლოვდით კიდეც თელავს. თელავი გახვეული იყო კვიმატ წყვდიადში.

ელექტრონის სადგურიც აულია ვიღაც პირველ ნომერს იჯარით, და ვერ გავიგე რატომ არ ანათებს ქალაქს. ნავთი და მაზუთი ხომ არის. თუმცა მგზავრებმა მითხრეს მოიჯარადრის ბრალიაო, მაგრამ ვინ იცის, ვისი ბრალია.

თელავში უეჭველად რომელიმე ნომერს უნდა ეკუთვნოდე, თუ გინდა იქ იცხოვრო, უნომრო ხალხი იქ მასხარად ჰყავთ აგდებული. გაიცნობ თუ არა ვისმეს, ჯერ იმასა გკითხავს რა ნომერი ხარო, შემდეგ კი გადასწყვეტს, ღირს თუ არა შენთან ნაცნობობა, მე გადავწყვიტე თავი ისე მეჩვენებინა რომ არც ერთი ნომერი არ მომემდურებინა. ყველა ნომრების ბიუროებს გავუკეთე ვიზიტი.

მართლაც და პირველ ნომერს საუკეთესო ადგილას, საუკეთესო სასტუმრო დაეჭირა. შემხვდნენ იქ ჩემი ძველი ნაცნობები, ვიბაასეთ აქეთურ-იქითურზედ. გავიგე თელავის ახალი ამბები, და გამოვწიე ეროვნულ-დემოკრატების ბიუროსკენ. ეროვნულ-დემოკრატებს თავიანთ ბიურო სხვისთვის გადაუციათ, თითონ კი დარჩომილან უბიუროთ. სამაგიეროთ ფედერალისტებს აქვთ განცალკევებული ბიურო.

ფედერალისტების ბიუროშივე გავიგე რომ იმ ღამეს თელავის საკრებულოში დიდი სანილაზო (ეს სიტყვაც იქ გავიგე) საღამო იყო.

საღამომდე თელავი დავათვალიერე. ქალაქი მშვენიერ ადგილას არის აშენებული. ქუჩები ვიწრო და ბინძური აქვს.

ვნახე ირაკლის სასახლე, გარიჯვარიდან ალავერდს გადავხედე, გვირაბშიაც ჩაველი. ერთი სიტყვით ჰანდრის მეტი სხვა ყველაფერი ვნახე. აქ არ შევუდგები თელავის აღწერას, ის დიდი ხანია აღწერილია, და ირაკლი II-ის შემდეგ თელავს არაფერი ახალი არ შემატებია.

საღამოსთვის გავაწმენდინე ტალახში ამოსვრილი ტანისამოსი და გავემგზავრე საკრებულოში. ხალხი ნელნელა იკრიბებოდა. გამოჩნდნენ „ნიღაბებიც". საკრებულოს მხიარული სახე დაედვა. ნიღაბნი მეტ წილად „პოლიტიკურნი" იყვნენ. მაგრამ ყველაზედ მოსწრებული იყო ნიღაბი სოციალ-დემოკრატი და ფედერალისტი.

ს.-დემოკრატს ხელში დიდი კომბალი ეჭირა, რომელზედაც ეწერა: "ძალა ამაშია" და მედიდურად მოდიოდა წინ. უკან მოკრძალებით გოშპარა ძალლივით მოსდევდა დაბალ-დაბალი ჩასუქებული ნიღაბი, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტს წარმოადგენდა. გულზედ მას ეკიდა პატარა ყუთი მიწით სავსე, ყუთზედ ეწერა: მიწა უფასოთ. ს.-ფედერალისტი უკან მისდევდა ს.-დ-ს თუ როგორმე წასცდებოდა ს.-ფ. და ს.-დემოკრატს წინ გაუსწრებდა, მაშინ ს.-დ. კომბლის ბრახუნით უჩვენებდა ფედერალისტებს თავის ადგილს. ს.-დემოკრატის ბრძანებისამებრ ფედერალისტი ხან ტლინკაობდა, ხან ბუქნავდა, ხან ხტოდა. ამ ორმა ნიღაბმა ხალხი სიცილით დახოცა. ფედერალისტებს არ ეჭაშნიკებოდათ, მაგრამ ხუმრობა ხომ ყველამ უნდა გადაიტანოს.

დავესწარ ქ. თელავის დემოკრატიულ საბჭოს [illegible] გამგეობის [illegible] პიესსავით მიმდინარეობდა, რომელ[…] განაწილებული იყო ს.-ფედერალ[…]ტების და ს.-დემოკრატების შორ[…] ეროვნულ დემოკრატები და დაშნა[…]ლები, ანუ, როგორც თავიანთ თ[…] უწოდებენ, პროგრესისტები, გა[…]ყულნი იყვნენ.

ეროვნულ-დემოკრატები ამბობდნ[…] რომ ქალაქი დავალიანებულია და ქ[…]ლაქის საბჭოს ოთხი წევრის შენახ[…] მძიმე ტვირთად ქალაქს დააწვება, ორი საბჭოს წევრი საკმარისია. ს[…]მეები იმდენი არ არისო. უთითებდნ[…] თბილისზე, იქ ექვსი საბჭოს წევრ[…] და თელავს კი ორი ეყოფაო. მაგრ[…] ფედერალისტებმა მაგალითად ლო[…]დონი მოიყვანეს. ამოირჩიეს სა[…] საბჭოს წევრი: ორი ს.-დ. და ერ[…] ს.-ფ. ქალაქის მოურავი კი ჯერ ვ[…] ამოურჩევიათ.

მეორე დღეს თბილისისკენ წამ[…]ველი. გზაში სულ იმას ვფიქრობდ[…] არის თუ არა ეხლა საჭირო კაც[…] იცოდეს რომელიმე ერთი საქმე ხე[…]რიანად, თუ საკმარისია გიბრძანონ „შენ უნდა ეხლა იყო ქალაქის მო[…]რავი, შენც მოდიხარ იღებ ქალაქ[…] მოურაობას, ჯამაგირს დროზე, და ქ[…]ლაქის საქმეებიც მიგყავს ლოღიალი[…] ერთი თვის შემდეგ გიბრძანებენ „შ[…] უნდა ინჟინერი იყოვო, გნიშნავ[…] რკინის გზების უფროსად, აქაც ს[…]მეები მიგყავს, შემდეგ ჯარების შ[…]ვარ სარდლად გაგხდიან, შემდეგ გ[…]ლოგობას ჩაგაბარებენ, რომ გამო[…]კვლიო და აღმოაჩინო მადნეულო[…] შემდეგ აგრონომი ხარ, შემდეგ პოლ[…]ტიკური მოღვაწე, შემდეგ... ვინ იც[…]რად არ გაგხდიან. ასეა ჩვენი შე[…] გუშინ კაცი ტრაქტირში ჩაის ასმევ[…] მუშტარს, დღეს ქალაქის საბჭოს წ[…]რია, ხვალ ქალაქის მოურავი, ზ[…] შეიძლება გუბერნატორად იქცეს. ამ[…]სთანა დროში კაცი ყველაფერს უნ[…] მოელოდე'. ვნახოთ რა გამოვა. ჯ[…] ჯერობით კი თელავს მილიონი ვა[…] დასდებია.

მგზავრი.

## ტრფობა ნამეგული

(ისტორიული რომანი)

25.

მიირთვა მეფემ სადილი. მოისვენა. სიამოვნებით გაატარა მთელი დღე. მზის ჩასვლისას ბრძანა ალკაზმა ცხენებისა. გამოეთხოვა მასპინძლებს. მოაფრინდა ტაიჭს, თითქო ხელიც არაფერს დაადო. მსუბუქად ისხდნენ მხედარნი, წერწეტად. აშოტი ცოტა წინ მიდიოდა.

გაჰყურებდნენ მეუღლენი მიმავალთ. აშოტი უფრო მოსული ჩანდა, მისი რაშიც უფრო ტანიანი. შუქურის თვალში თანდათან ემატა აშოტს სიდიდე, მანძილმა ვერ დალია იგი, ვერც თუ დაამცრო; უფროც შეამაღლა. მიეფარნენ მგზავრები, წამოხრილმა ბორცვმა დაჰფარა იგი თვალთაგან. ქალის გონების თვალი მაინც ჰხედავდა აშოტს, ცხადად არჩევდა. უფრო გადიდებულიყო მხედარი, ამირანის ოდენა გამხდარიყო, მისი ტაიჭი ექვს ფეხიან რაშად გარდაქმნილიყო. შავს ღრუბელს კი არა ჰგავნდა ბუმბერაზი საავდროდ გამზადებულს; სხივოსან მებრძოლს ემზგავსებოდა, ზეშთა დასთაგან განცალკევებულს, ქვეყნად მოვლინებულს კაცთა ნათესავის მოხმარ მაშველად, ბნელისა ძალთა დამამხობელად, ადამიანისთვის სიხარულის მომტან არსებად; შუქურის გულის გამათბობელად, მის მეფედ სალსავოდ, მის სამუდამო მბრძანებლად ცხოვრებაში, ორსავ ცხოვრებაში.

— შავიდეთ, ქალო, სახლში! ბევრიც რომ ვუყუროთ მის გზას, ეხლა ვეღარ დავინახავთ იმ დიდებულს შობილთა შორის, ზეცით კურთხეულს.

— ოღონდაც რომ დიდებულს და კურთხეულს! ნათელ რამ ჩვენებად გაიარა დალოცვილმა ჩვენ სახლში და ჩვენ ეზოზედ. იმედის სხივი დასტოვა ჩვენ დალონებულ ყოფაში, აწ დიდებულო სარდალო ჩვენის ლაშქრისა! მიუგო შუქურმა.

და იქვე მოეხვია თავის ქმარს, შიგ ტუჩებში აკოცა. ალერსის გუნებაზედ დამდგარიყო ლამაზი, ვეღარ მოჰრეო და სურვილს კოცნისას.

— ვის ეკუთვნოდა ეშხიანი კოცნა იგი მშვენიერისა, საყვარელ მეუღლეს დაავადებულს, თუ მიმავალ ბუმბერაზს, ძლიერების შარავანდედით შუბლ გაშუქებულს?

„გაიღო თეთრი კლდე, გამოვიდა თეთრი რაში, ზედ იჯდა თეთრი მხედარი, მოჰქონდა თეთრი სიხარული"......

გაახსენდა ქალს შელოცვის სიტყვები და იმ თილისმა სიტყვებმა ხორცი შეისხეს მისთვის, იგი სიტყვები მიდმოდიოდნენ მის ოცნებაში აშოტის სახით, მიმოჰქროდნენ მის სპეტაკ სულში, თეთრ სიხარულს მიმოაფრქვევდნენ მის საწყალ გულში. ჯადოსნური თვისებისა იყო თეთრი იგი სიხარული: სპეტაკ სითბოს აშუქებდა მთელ არსებაში, თეთრად ანდობდა თვით ნასახსაც შავის დარდისა გულის კუნჭულებშიც, ვით გაზაფხულის მდინარე სხივი ნადობს დრომოჭმულ თოვლს გასაქარწყლებელს.

წავიდა აშოტი, დაადგა თავის დიდებულ მოწოდების გზას: განგებისაგან მოვლენილი იყო ის გუშაგად ღვთივ-კურთხეულის საქართველოსი, მხსნელად ხალხისა მტრისაგან ცეცხლად აღტყინებულისა, ლომივით განძვინებულისა. ზეცის მიერ მას ებარა ამ ერის ყოფა, მეუფის წინ ის იყო მის სიმართლეზედ პასუხისმგებელი, მის აღორძინების თავმდები, და მიისწრაფიდა იგი მოწოდების აღსასრულებლად.

ხალხიც მოუთმენლად ელოდდა თავის წინამძღვარს; იარაღით ხელში გაჰყოლოდა მის ჩქუხარ ხმას მთლად დაიმედებული, რომ მტერი აღიგვებოდა პირისაგან ქართველთა ქვეყნისა, რაკი მათ ხელმძღვანელობდა იმისთანა რაინდი უნაკლულო; ამოწყდებოდა მტერი, ბოროტის მყოფელი იგი კადნიერი, რომელს გაებედნა და გადმოელახნა მზღვრები საქართველოსი, წმიდა ნიადაგზედ დაედგა ფეხი თვისი უწმიდური! აღიხოცებოდა მტერი, განიბნეოდა, დადნებოდა ძალა მისი, როგორც რომ ცვილი ცეცხლის წინაშე, განქარდებოდა ვით რამე მტვერი.

წავიდა აშოტი, გარნა სამუდამოდ დარჩა მისი აჩრდილი პატიკოს სახლში: მარად სასაუბრო შეიქმნა ის მეუღლეთათვის, მარად საოცნებო ნატვრა და შერჩენოდა პაატას. ფრთა ნამზნევი არწივი იყო ეხლა ის. შორიდანა ჰხედავდა საბრძოლველად მიმავალ თავის მოძმეებს, ესმოდა მათი ყივილ ხივილი, უნდოდა მათთან ცაში ნავარდი, მაგრამ ფრთა არ ემორჩილებოდა მძლედ გასაშლელად, საწყალი ფრთა ისრით განგმირული.

— არა უშავს რა, ჩემო კარგო! მეც მალე მოვრჩები, შეუერთდები მათ. რა სამკაულს მოგიტან დავლად! ჩემეულით დაგიმშვენო თლილი თითები, ბრძოლის ყელ-ყური. ძლიერ მიყვარხარ! პირველად რომ გნახე პონტის პირას, ხომ შეგითვისე; ეხლა უფრო ძლიერად გეტრფი; არ კი ვიცი რად.

— შენი ვარ და გიყვარვარ. ერთმანეთისანი ვართ და გვიყვარს ერთმანეთი.

წავიდა აშოტი, მაგრამ მთელ სოფელში დარჩა მისი აჩრდილი. იგი მისი შუქი დადიოდა სახლიდან სახლში, აუწყებდა ყველას თავისზედ: თვის სიქველეზედ, დიდებულ მოქმედებაზედ, მამობრივ მზრუნველობაზედ, შორს გამჭვრეტელობაზე, აზრიან სარისტიანობაზედ. იმ სოფელშიც, მთელ შავშეთ-კლარჯეთშიც, სრულიად საქართველოშიც აშოტი იყო ახლა პირველი სასაუბრო საგანი. მისკენ ჰქონდათ ქართველებს მიქცეული თვალი მსასოებელი, ის დაესახათ მათ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად წყვდიადად ღამეში თვისის ყოფისა, როს ხილულად თუ ფარულად აზვირთებულიყო მასზედ მტერი მძვინვარე.

საარაკოც იყო უნარი აშოტის მოქმედებისა, რომელი განავითარა მან დღიდგან შავშეთში თვისის შემოსვლისა. რაკი მტრის თავდასხმისაგან უზრუნველ ჰყო მან ეს მხარე, მიჰყო ხელი ქვეყნის შენებას და არ დაზოგა არც თვისი შრომა, არც სხვათა ძალა, არც თუ ხაზინა სამეფო, რომელიც ეხლა შევსებულ იყო გამარჯვებულ ომებში მოპოვებულ სიმდიდრით და ბიზანტიიდან მოსულ უხვ დახმარებით. შავშეთ-კლარჯეთი და მისი მოსამზღვრე მხარეები კი ძლიერ იყო მაშინ აოხრებული. უშენებელი იყო იგი გარეშე მცირედთა სოფელთა. ეს გადარჩენილი სოფლებიც დაკნინებულიყვნენ მცხოვრებთა რიცხვით თუ ქონებით. წინად მტერი მოსვენებას არ აძლევდა მათ, წარტყვევნისა და გაძარცვის შიში ჰქონდათ მარად. ამ ქვეყნის აოხრება პირველად მაშინ მოხდა, ოდეს ყრუმან ბაღდადელმან შემუსრა ყოველნი ციხენი მის ქვეყანისანი, მოვლო შავშეთი და ღადო, მოსწო ცეცხლით დაბა-სოფელნი, იავარ ჰყო საქონელი და სარჩენელი; მოსპო ერი პირითა მახვილისათა და ტყვე ჰყო ტყვეობითა უსასტიკესითა. გადარჩნენ მხოლოდ გარდახვეწილნი, ტყე-ღრეში და ქვაშთა შიგან მალულ-ფარულნი. მცირე ხნის შემდეგ სენმა სტომაქისამან შეაოხრა შავშეთ კლარჯეთი და მიმდგომნი მათნი ქვეყანანი. მცირედ ლა დარჩა ხალხი მიუვალ ადგილთ. კაცთა აღხოცვას მოჰყვა განსაცვიფრებელი სიმრავლე ნადირთა. მგელი და დათვი ეგზომ უშიშარ იქმნეს, რომელ დღისით შევიდიან სოფელს. ესდენ აოხრებული მხარე დახვდა აშოტს. გაუტეხელი ძალით შეებრძოლა იგი ყოველ ამ უბედურებას. სძლია კიდეც სულ მცირედ ხანში. რომელნიმე სოფელნი მოიყიდნა საფასითა და აღავსო ხალხითა. მრავალი მოოხრებული ციხე-ქალაქი აღაშენა. უზრუნველ ჰყო ხალხი. განამტკიცა და ააყვავა მისი ცხოვრება.

ვახილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება).

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლი ან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **ხაფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე. პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ. ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბაქოდან**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში[…]

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლ[…]

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნ[…]ვერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა [და] გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გ[…] სინჯვა და წამლობა X-ს სხივებ[…] დიდი სალენოიდი და არსევალის ტ[…]კით ფილტვების, გულის და სხვა შ[…] ნაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბე[…] უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—[…] საათამდე და საღამოს 5—8 საათამ[დე] ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—[…] 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის [ძე]

**კიკოლიანი**

[იღ]ებს კანისა, ვენერიულის და სიფ[…]ლისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დ[ი]ლის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექ[ტი] № 116; სასტუმრო „ნოე"ს პირდაპ[ირ] ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მონსე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნ[ეუ]ლებანი. მკურნალობა ელექტრონ[…] სიმსუქნის მკურნალობა ბერგონ[…] აპარატით, სალსრების მკურნალო[ბა] ლინდემანის აპარატით; ფსიხოტე[რა]პია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დ[…] საღამოს 6 7 ს. ყოველდღე, კვი[რა] და ხუთშაბათის საღამოს გარდა. [მი]ხეილის პროსპ. № 111. ტელეფ[ონი] 13—42.

50—2119—[…]

სტამბა [illegible], გამგეის შესახვევი № 4.